



ევრაზიანი ფონდი



## სოციალური უზრუნველყოფის სისტემის

### ფუნქციები და ამოცანები

ეკატერინე ჩემია  
სოციალური სამუშაოს მაგისტრი

0701 ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ფილოსოფიურ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
სოციალური სამუშაოს სამაგისტრო პროგრამა

თბილისი 2008

## სოციალური სამუშაოს პროფესია: ცოდნა, უნარ-ჩვევები, პროფესიული ეთიკა და ღირებულებები

“სოციალური სამუშაო არის პროფესიული აქტივობა, რომელიც მიზნად ისახავს ინდივიდების, ჯგუფების და საზოგადოებების დახმარებას მათი სოციალური ფუნქციონირების აღდგენითა და გაუმჯობესებით, და მათთვის შესატყვისი სოციალური პირობების შექმნის გზით” (NASW, 2001).

სოციალური სამუშაოს ძირითადი დამახასათებელი ოვისებებია:

(1) ერთი ადამიანის მიერ მეორის დახმარება;

(2) უმწეო ან რისკის ზღვარზე მყოფ ადამიანთა დახმარება;


(3) საზოგადოებაში არსებული რწმენა, რომ ადამიანებს სჭირდებათ დახმარება და საზოგადოება განსაზღვრავს დახმარების ამ ფორმებს.

(4) სერვისების და დახმარებითი აქტივობების დიდი უმრავლესობა არის სააგენტოზე დაფუძნებული;

(5) სოციალური სამუშაო არის პროფესია და იგი მოითხოვს გარკვეული ტიპის პროფესიულ განათლებას და ტრეინინგს, ასევე პროფესიული ქცევის ეთიკური ნორმების ცოდნას.

სოციალური მუშაგის პროფესია: უნარ-ჩვევები, ცოდნა, პროფესიული ღირებულებები და ეთიკა

ნახ 1: ცოდნის, ღირებულებების და ეთიკის და უნარ-ჩვევების დინამიური ურთიერთქმედება:



## **ცოდნა:**

ცოდნა უნდა მოიცავდეს შემქედგ სამ სფეროს:

ცოდნა, რომელიც სოციალურ მუშაკს აძლევს ინფორმაციას კლიენტის შესახებ: ფსიქოლოგია, სოციოლოგია, სოციალური პრობლემები, სოციალური პოლიტიკა და ანტიდისკრიმინაცია.

ცოდნა, რომელიც ეხმარება სოციალურ მუშაკს დაგეგმოს შესაბამისი ინტერესების შესახებ: სოციალური სამუშაოს პრაქტიკის თეორია და ინტერვენციის მოდელები, სოციალური სამუშაოს ინტრენენციის მეთოდები და ინტერვენციის პროცესები.

ცოდნა, რომელიც იძლევა კანონების, სოციალური უზრუნველყოფის პოლიტიკის, პროცედურული და ორგანიზაციული კონტექსტის გაგებას.

## **ღირებულებები და ეთიკა:**

სოციალურ მუშაკთა ეთიკის კოდექსი

- ადამიანის ღირსება და ღირებულება
- ადამიანებისადმი პატივისცემა
- ადამიანის ცვლილების/განვითარების შესაძლებლობა
- კლიენტის თვით-განსაზღვრის უფლება
- კლიენტის კონფიდენციალობის და პრივატობის უფლება
- ადამიანების უფლება გამოიყენონ და რელიზირება გაუკეთონ თავიანთ პოტენციალს
- სოციალური ცვლილება
- ადამიანების უფლება მიიღონ თავიანთი მოთხოვნების ადექვატური რესურსები და სერვისები
- კლიენტის უფლებამოსილების უზრუნველყოფა
- თანასწორობა / თანასწორუფლებიანობა
- ანტიდისკრიმინაცია
- სხვადასხვა აღმსარებლობის, რასის და გაგების ადამიანების მიმღებლობა
- სურვილი- გადასცე საკუთარი პროფესიული ცოდნა და უნარ-ჩვევები სხვებს

## **უნარ-ჩვევები:**

ზოგადი და სპეციალიზირებული მეთოდოლოგიები

- შემეცნებითი უნარები: ანალიტიკური უნარი, შეფასების და კვლევის გაგების უნარი
- ადმინისტრაციული უნარები: მონაცემების ჩაწერა და რაპორტების წერა

- პიროვნებათაშორისი უნარები: ვერბალური და არა ვერბალური უნარები, თვით-ცნობიერება, ავტორიტეტის გამოყენება, სხვადასხვა ხალხთან მუშაობის უნარი, თანამშრომლობის უნარი, უნარი მოიპოვოს და შეინარჩუნოს დადებითი სამუშაო ურთიერთობები
- გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევები, მოიცავს ავტორიტეტულობას და პასუხისმგებლობას
- რესურსების გამოყენების და მართვის უნარი

ზოგადი მეთოდოლოგია გულისხმობს კლიენტის მოთხოვნების გარემოსთან დაკავშირებას; სოციალური მუშაკის მოვალეობაა გაიგოს და ინტერპრეტაცია გაუკეთოს ადამიანის ქცევით, ფსიქოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებსა და გარემოს ფაქტორებს შორის ურთიერთქმედებას.

### **სოციალური სამუშაოს დანიშნულება და ამოცანები:**

სოციალური სამუშაოს დანიშნულებაა ადამიანის სოციალური ფუნქციონირების გაუმჯობესება. სოციალური ფუნქციონირების გაუმჯობესება გულისხმობს ადამიანური მოთხოვნილებების ადექვატურ დაკმაყოფილებას, რათა ინდივიდებმა მიაღწიონ თვით-რეალიზაციას და გახდნენ საზოგადოების პროდუქტიული წევრები.

სოციალური ფუნქციონირების გაუმჯობესება გულისხმობს პრევენციას, აღდგენას და რემედიაციას.

**პრევენცია** გულისხმობს დაუცველი ადამიანებისადმი სერვისების დროულ მიწოდებას სანამ დისფუნქციები დაიწყებოდეს. იგი მოიცავს ისეთ პროგრამებას და სერვისებს, როგორიცაა ოჯახის დაგეგმარება, ჩვილ ბავშვთა კლინიკები, მშობლების განათლება, კონსულტაციები ქორწინებამდე ან პენსიაზე გასვლამდე.

**აღგდენა** მიზნად ისახავს იმ კლიენტების რეაბილიტაციას, რომელთა ფუნქციონირება უკვე დაქვეითებულია ფიზიკური თუ ფსიქიკური პრობლემების გამო. ასეთ კლიენტთა რიცხვს მიეკუთვნებიან ფსიქიკური დაავადებების მქონენი, სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანები და სხვა.

**რემედიაცია** გულისხმობს არსებული პრობლემის შემცირებას ან აღმოფხვრას (მაგ. ნარკომანებთან მუშაობა და სხვა).

სოციალური მუშაკის კიდევ ერთი ფუნქციაა ადამიანის მოთხოვნილებების და შესაძლებლობების დაკმაყოფილებისათვის საჭირო რესურსების და შესაძლებლობების ძიება, განვითარება და კლიენტამდე მიტანა.

სოციალური სამუშაოს ამოცანებია:

- დაეხმარო ადამიანებს გაიუმჯობესონ საკუთარი პოტენციალები და უნარები
- დაეხმარო ადამიანებს რესურსების გამოყენებაში
- ორგანიზაციები გახადო ადამიანების მოთხოვნილებების მოპასუხე
- ხელი შეუწყო ინდივიდსა და გარემოში მყოფ სხვა ადამიანთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას
- გავლენა მოახდინო ორგანიზაციებისა და სისტემების ურთიერთქმედებაზე
- გავლენა იქონიო სოციალურ და გარემო პოლიტიკაზე

#### **პლიენტა ძირითადი ჯგუფები:**

სოციალური სამუშაო არის გამორჩეული პროფესია, რომელიც ემსახურება დარიბთა, უმწეოთა, დაუცველთა და დისკრიმინინგულთა დაცვას. სოციალური მუშაკების მოღვაწეობის არეალი თანდათან იზრდება. თუკი ადრე იგი მხოლოდ დარიბთა და გლახაკთა დაცვას ეხებოდა, ამჟამად სოციალური მუშაკები მოღვაწეობენ ისეთ განსხვავებულ სფეროებში, როგორიცაა სამოავრობო ორგანიზაციები, სკოლები, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები, ოჯახება და ბავშვებთან მომუშავე ორგანიზაციები, ბავშვის პეთილდღეობაზე მზრუნველი სისტემები, ფსიქიატრიული დაწესებულებები, ბიზნესი და ინდუსტრია და კერძო პრაქტიკის სფერო. სოციალური მუშაკები ემსახურებიან ყველა ასაკის ადამიანებს-ჩვილი ბავშვებიდან დაწყებული მოხუცებით დამთავრებული.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი ჯგუფები, რომელთანაც სოციალური მუშაკები მუშაობენ:

- უსახლკარონი
- ოჯახები, სადაც ადგილი აქვს ბავშვის მიმართ არასწორ მოპყრობას, არასაკმარის ყურადღებას, ბავშვზე სექსუალურ თუ ფიზიკურ ძალადობას.
- სერიოზული ცოლ-ქმრული კონფლიქტების მქონე წყვილები
- ოჯახები, ასევე მარტოხელა მშობლების ოჯახები, რომლებიც სერიოზულ პრობლემებს განიცდიან (მაგალითად, ბავშვის სახლიდან გაქცევა, დამნაშავეობა, ძალადობა, განვითარების ჩამორჩენილობები და სხვა).
- შიდსით დაავადებულები და მათი ოჯახები
- სიღარიბის ზღვარზე მყოფი ოჯახები და ინდივიდები, რომლებიც განიცდიან უმუშევრობას, ოჯახის მარჩენალის არარსებობას, შრომისუნარიანობის ნაკლებობას და სხვა.
- კანონდარმდვევი ინდივიდები და მათი ოჯახები
- ქორწინებაში არმყოფი ფეხმძიმე მოზარდები
- ნარკომანები, ლოთები და მათი ოჯახები

- ობლები, გაშვილებული ბავშვები, უპატრონო ბავშვები
- ემიგრანტები, დევნილები, იძულებით გადაადგილებული პირები
- და უმცირესობების წარმომადგენლები
- სპეციალური საჭიროების მქონები და მათი ოჯახები
- მოხუცები, რომლებიც ვეღარ ფუნქციონირებენ ისე, როგორც  
საჭიროა
- ბავშვები სასკოლო პრობლემებით
- ფსიქიურად დაავადებულები
- ადამიანები სტრესის ქვეშ, როგორიცაა ახლობლის სიკვდილი,  
სერიოზული/ქრონიკული დაავადება, ან სხვა ნებისმიერი ფსიქიკური ტრავმა;
- ასევე ადამიანები ცხოვრების შემდგომ ეტაპზე გადასვლასთან  
დაკავშირებული შეგუების პრობლემებით, როგორიცაა პენსიაში გასვლა,  
შვილების სახლიდან წასვლა და სხვა.

## სოციალური სამუშაო 21-ე საუკუნეში

მსოფლიოს ისეთ განვითარებულ ქვეყანაში, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, სოციალურ სამუშაოს კრიზისის მდგომარეობაში მყოფი პროფესია უწოდეს. აქ გამოითქმება აზრი, რომ სოციალური მუშაკის სამუშაომ დაკარგა მიმართულება. ამასთან ერთად საჭიროა მოინახოს გზები პრობლემის გადასაჭრელად.

მკვლევართა მეორე ნაწილის აზრით კი, სოციალური სამუშაო მუდმივად განვითარებად პროფესიას წარმოადგენს. ამჟამად მან მიაღწია თავისი არსისა და ორგანიზაციული განვითარების მიხედვით კრიტიკულ სტადიას. იმისთვის, რომ ამ პროფესიამ კრიზისს თავი დაადგიოს, საჭიროა მოგვარდეს შემდეგი საკითხები:

- პროფესიული იდენტიფიცირების კრიზისი
- პროფესიული საზღვრების დარღვევა
- პროფესიული აღიარების ნაკლებობა
- პროფესიონალი სოციალური მუშაკების სიმცირე
- პარა-პროფესიონალების რაოდენობის ზრდა
- ახალი კადრების დასაქმების პრობლემა
- კადრების ხშირი ცვლა. დასაქმებული სოციალური მუშაკები ხშირად ტოვებენ სამუშაოს და გადადიან სახელმწიფო სტრუქტურებში სამუშაოდ
- არასრულფასოვანი სამუშაო პირობები
- სოციალურ სამუშაოს ხშირად ასრულებენ არაკალიფიცირებული ადამიანები
- რესურსების რაოდენობის ნაკლებობა, რაც სოციალურ მუშაკებს პროფესიული განვითარების და დასპეციალების საშუალებას მისცემს.

## **სოციალური სამუშაოს განსაზღვრება**

ექსპერტები, პოლიტიკის განვითარებაზე მომუშავე პროფესიონალები და ამ პროფესიის ლიდერები სხვადასხვანაირად განსაზღვრავენ სოციალურ სამუშაოს. არ არსებობს სოციალური სამუშაოს, ერთი, ყველასათვის მისაღები განსაზღვრება.

ამის მიუხედავად, ყველა ეთანხმება იმ აზრს, რომ სოციალური სამუშაო ემსახურება ადამიანის უფლებების დაცვას და სამართლიანობას. იგი არსებობს, რათა დაეხმაროს იმ ადამიანებს, რომლებიც სოციალური უთანასწორობის მსხვერპლებს წარმაოდგენენ. სოციალური სამუშაოს ფუნქციას წარმოადგენს სოციალური ინტეგრაცია.

ასევე, მისი ფუნქციაა სოციალური პოლიტიკის ხარვეზებზე მუშაობა სხვადასხვა სფეროში.

2001 წელს სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ მიღებული იქნა შემდეგი განსაზღვრება:

სოციალური მუშაკის პროფესია მხარს უჭერს სოციალურ ცვლილებებს, ადამიანთა ურთიერთობებში პრობლემების მოგარებას და ადამიანების გაძლიერებას და გათავისუფლებას მათი კეთილდღეობის მიღწევის მიზნით.

### **ძირითადი ღირებულებები**

სოციალური სამუშაოს ძირითადი ღირებულებები ემყარება ადამიანთა ღირსებების აღიარებას და იგი მხარს უჭერს ადამიანების თვით-განსაზღვრების უფლებას და მათ მონაწილეობას საზოგადოებაში. სოციალურმა მუშაკმა უნდა იმუშაოს დისკრიმინაციის აღმოფხვრისათვის, პატივი სცეს სხვადასხვა ადამიანთა განსხვავებულ ღირებულებებს და უზრუნველყოს ადამიანთა ინტეგრაცია საზოგადოებაში.

### **სოციალური მუშაკის სხვადასხვა როლი**

კონსულტანტი მუშაობს ადამიანებთან ინდივიდუალურად რათა დაეხმაროს მათ პირადი საკითხების მოგარებაში. ეს სამუშაო ეფუძნება სოციალური სამუშაოს ძირითად პრინციპს პატივი სცეს ყველა ადამიანის ღირსებას.

დამცველი მუშაობს ღარიბებისა და სოცილურად იზოლირებული ადამიანების კეთილდღეობისათვის. სოციალურმა მუშაკმა უნდა უზრუნველყოს, რათა ყველა ადამიანს შეეძლოს საკუთარი სურვილების გახმოვანება და უფლებების დაცვა. ამ კონტექსტშიც სოციალური მუშაკი დამაკავშირებელი რგოლი უნდა იყოს კლიენტსა და სერვისის სისტემას შორის.

**პარტნიორი** მუშაობს დაუცველ და გაჭირვებულ ადამიანებთან ან ადამიანთა ჯგუფებთან. ამ შემთხვევაში სოციალური მუშაკის მთავარი მიზანია მათი გაძლიერება.

**რისკების ან საჭიროებების განსაზღვრა.** სოციალურ მუშაკს უდიდესი როლი აქვს ადამიანთა რისკების და მათი საჭიროებების განსაზღვრისათვის. ამას შეიძლება ასრულებდეს ის სოც. მუშაკი, რომელიც პოლიტიკის განვითარებაზე მუშაობს.

**სოციალური კონტროლის აგენტი უზრუნველყოფს სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ცვლილებას ადამიანთა საჭიროებების და მოთხოვნების შესაბამისად.**

### **სოციალური სამუშაოს სოციალური კონტექსტი**

სოციალური მუშაკის როლზე გავლენას ახდენს სოციალური გარემოს ცვლილებები, რომელთა შორის აღსანიშნავია შემდეგი ცვლილებები:

**დემოგრაფიული და სოციალური ცვლილებები,** განსაკუთრებით ხანშიშესული მოსახლეობის ფაქტორი და შემცირებადი ოჯახის ზომა, რაც ოჯახების წინაშე აყენებს ოჯახის წევრების მოვლის პრობლემას. მოსახლეობის სტრუქტურის ამ ცვლილებასთან ერთად მიმდინარეობს თვით ოჯახური მეტალიტების ცვლილება. ასევე, სამსახურს სულ უფრო და უფრო მეტი ქალი იწყებს, რაც ბავშვთა მოვლის პრობლემას და შესაბამისი სერვისების არსებობის აუცილებლობას აყენებს.

**სიღარიბე და სოციალური იზოლაცია დროთა მანძილზე იზრდება და ეს ფაქტორი კიდევ უფრო ზრდის სოციალურ მუშაკთა როლს, რადგან ამ ცვლილებების გამო საზოგადოების მრავალი წევრი სიღარიბის, ავადმყოფობის, უსახლკარობის, გაუნათლებლობის მსხვერპლი და საჭიროებები სოციალურ მუშაკთა დაცვას და დახმარებას.**

**სოციალური პრობლემების ინტერნაციონალიზაცია.** მიგრაციის მაღალი დონის გამო ბევრ ქვეყანაში სოციალური მუშაკების წინაშე დგას სხვადსხვა ეროვნების, რელიგიური მრწამსის და პოლიტიკური და კულტურული დირექტულებების ადამიანებთან ურთიერთობის და მუშაობის საკითხი. ევროკავშირის მუდმივ გაფართოებასთან ერთად ეს საკითხიც უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ხშირად ადამიანები მიგრირებენ საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში და ეძიებენ ლტოლვილის სტატუსს. ამ ადამიანებთან მუშაობისას სოციალურ მუშაკთა როლი უფრო იზრდება და მეტ პასუხისმგებლობას იძენს. იმისთვის, რომ სოციალურმა მუშაკებმა ამ კონტექსტში ეფექტურად იმუშაონ, საჭიროა მათი კვალიფიკაციის შესაბამისად ამაღლება.

**თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გავლენას ახდენს მონაცემთა შენახვასა და ინფორმაციის გამოყენებაზე.** არსებული ტექნოლოგიების

ეფექტურად გამოყენების მიზნით საჭიროა სოციალური მუშაკები უზრუნველყოფილი იყვნენ შესაბამისი ტრეინინგებით, რათა მოხდეს მათი კვალიფიკაციის ამაღლება, რაც საბოლოოდ მათ მიერ სამუშაოს ეფექტურად შესრულებაში გამოიხატება.

სოციალურ სამუშაოში დროთა განმავლობაში უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება პრევენციული დონისძიებების გატარება, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვებსა და ოჯახებთან მუშაობაში. მრავალ ქვეყანაში ამ ასპექტში სოციალურ მუშაკთა მუშაობა კრიზისს განიცდის, რადგან მათთვის შეუძლებელია სახელმწიფო ორგანიცებთან ეფექტური თანამშრომლობის გზით პრობლემების პრევენცია.

ჯორდანისა და სხვათა მიერ (2004) “კონსტრუქტიული სოციალური სამუშაოს” იდეა გამოითქვა და იგი კარგად გამოხატავს სოციალური სამუშაოს არსებულ მდგრმარეობას. იგი აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ სოციალურ მუშაკთა მოვალეობაა ადამიანებს მუდმივად ცვლილებად გარემოში აუცილებელი სერვისების მიღებაში დაეხმარონ; ასევე, ადამიანებთან თავიანთი გარემოს ფარგლებში დაეხმარონ, შეასრულონ პრევენციულო სამუშაო და საშუალება მისცენ ადამიანებს მჭიდროდ ითანამშრომლონ სოციალურ მუშაკებთან პრობლემების მოგვარების პროცესში. ამისათვის საჭიროა სოციალურ მუშაკს აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები გააჩნდეს, რისი მიღწევაც მათთვის შესაბამისი ტრეინინგების მიწოდებით შეიძლება. ასევე აუცილებელია შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურის არსებობა, რომელიც საშუალებას მისცემს სოციალურ მუშაკს საშუალება შემოქმედებითად იმუშაოს და პქონდეს პარტნიორული ურთიერთობა კლიენტებთან, ასევე მუშაობდეს სოციალური “სტიგმის” აღმოფხვრისათვის.

## რატომ უნდა შევისწავლოთ სოციალური პოლიტიკა

### რა არის სოციალური უზრუნველყოფა

#### რა არის სოციალური პოლიტიკა?

სოციალური პოლიტიკა წარმოადგენს ადამიანთა საცხოვრებელი პირობების ცვლილებების, შენარჩუნების ან ახლის შექმნის შესახებ რეგულაციებს, რომლებიც აისახება სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებში.

სოციალური პოლიტიკის მიზანია ადამიანის სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესება და ადამიანების მოთხოვნების დაკმაყოფილება განათლების, ჯანდაცვის, სახლკარით უზრუნველყოფის და სოციალური უსაფრთხოების შესახებ. სოციალური პოლიტიკა შეეხება სოციალური უზრუნველყოფის შესწავლას და სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილებას.

სოციალური პოლიტიკა ეხება იმ გზებს, რომელთა საშუალებითაც სხვადასხვა საზოგადოებები პასუხობენ სოციალურ პრობლემებს და საჭიროებებს.

იგი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. ყოველი ადამიანი, რომელიც სწავლობს სოციალურ პოლიტიკას, განხილვის საგნად გადააქცევს იმას, თუ როგორ უმკლავდებიან ცხოვრებისეულ პრობლემებს მათი ამხანაგები ან ზოგადად ადამიანები, როგორია სოციალური უზრუნველყოფის სხვადასხვა პროგრამები – მაგ. სკოლების და ჰოსპიტალების, ან საზოგადოება როგორ უმკლავდება სიღარიბეს და უმუშევრობას.

ეს პრობლემები ძალზე რთულია, ისინი იწვევენ ინტენსიურ განსჯას და აზრთა სხვადასხვაობას. სოციალური პოლიტიკის შესწავლის ნაწილია ყოველდღიურ პრობლემებზე დაკირვება და მათ შესახებ დებატების გამართვა, რათა უკეთესად მივხვდეთ რატომ წარმოიქმნება საერთოდ სოციალური პრობლემები და შევაფასოთ ამ პრობლემების გადაჭრის გზები. ამ საკითხების პვლევისას, სოციალური პოლიტიკა იყენებს სხვადასხვა აკადემიური დისციპლინების ინფორმაციას, როგორიცაა ეკონომიკა, ისტორია, პოლიტიკა, სოციოლოგია, გეოგრაფია და ფილოსოფია. მაშინაც კი, თუ მათ აქვთ უმნიშვნელო ცოდნა ამ დისციპლინების, მიმდინარე მოვლენებითა და სოციალური საკითხებით დაინტერესებული სტუდენტები სოციალური პოლიტიკით სერიოზულად ინტერესდებიან, რადგანაც იგი ეხება საზოგადოებრიობის სასიცოცხლო საკითხებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

სოციალური პოლიტიკის შესწავლის ძირითადი საკითხებია:

■ სოციალური პრობლემები და სოციალური საჭიროებები: ისეთი საკითხების, როგორიცაა სიღარიბე, ავადმყოფობა, უსახლკარობა, დანაშაული, უმუშევრობა და უთანასწორობა, ხასითის, ხარისხის და შესაძლო შედეგების გამოკვლევა.

■ სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები: “სოციალური უზრუნველყოფა” ფართო მნიშვნელობის ტერმინია, რომელიც მოიცავს სამთავრობო, კომერციულ, მოხალისეობრივ და არაფორმალურ პროგრამებს, რომელიც ეხებიან სოციალური საჭიროებების მოგვარებას. შეისწავლება რა როლს ასრულებს თითოელი ეს სექტორი და როგორ იცვლება ეს როლი დროისა და სხვადასხვა საზოგადოების მიხედვით.

■ შედარებითი სოციალური პოლიტიკა: შედარება იმისა, როგორ არის სოციალური უზრუნველყოფა ორგანიზებული, როგორ ხდება მისი დაფინანსება და როგორ არის იგი მიწოდებული სხვადასხვა ტიპის საზოგადოებების შემთხვევაში.

■ სოციალური უზრუნველყოფის დაგეგმვაში ცვლილებების ისტორია: როგორ იცვლებოდა დროთა განმავლობაში მისი დაფინანსების, სერვისების მიწოდების და პასუხისმგებლობების განაწილების საკითხები

■ სოციალური უზრუნველყოფის პოლიტიკური ეკონომია: იმ ფასეულობებისა და პრინციპების იდენტიფიცირება, რომელიც სოციალური უზრუნველყოფის საფუძველს წარმოადგენს და როგორ გავლენას ახდენენ მათ ჩამოყალიბებაზე სოციალური და ფინანსური ინტერესები.

■ სოციალური უზრუნველყოფის მენეჯმენტი: სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების ორგანიზებისა და მიწოდების მენეჯმენტი.

■ სოციალური პოლიტიკის შედეგების შეფასება: სოციალური პოლიტიკის ინტერესების ინდივიდუალური და სოციალური შედეგების შეფასება. ასევე,

შეფასება იმისა, რამდენად წარმატებულად ახდენს ესა თუ ის სოციალური პოლიტიკა სოციალური საჭიროებების მოგვარებას.

რატომ უნდა შევისწავლოთ სოციალური პოლიტიკა?

სოციალური პოლიტიკის შესწავლას მრავალი დადებითი მხარე აქვს. მათი ნაწილია:

- გვეძლევა საშუალება განვიხილოთ ის პრობლემები, რომელნიც განსაკუთრებით მწვავეა თანამედროვე საზოგადოებისათვის;
- ხდება კონცეპტუალური, მსჯელობის და შეფასების უნარ-ჩვევების განვითარება;
- იგი მოიცავს ტრეინინგს მენეჯმენტში, ასევე ახდენს კომუნიკაციის და პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევების განვითარებას, და ა.შ.

აშშ-ში სოციალური პოლიტიკა არეგულირებს და მართავს ადამიანის ქცევას მორალის თვალსაზრისით. აშშ-ს თანამედროვე სოციალური პოლიტიკა ეხება შემდეგ საკითხებს:

- აბორტი და მისი რეგულირება პრაქტიკაში;
- ევთანზის ლეგალური სტატუსი;
- ქორწინების, განქორწინების და შვილად აყვანის წესები;
- სიღარიბის, სოციალური უზრუნველყოფის და უსახლკარობის პრობლემები და მათი მოგვარების გზები;
- პროსტიტუციის ლეგალური სტატუსი;
- ნარკოტიკების მოხმარების ლეგალური სტატუსი, და ა.შ.

სოციალურ პოლიტიკაზე ზოგჯერ გავლენას ახდენს პოლიტიკოსების რელიგიური მრწამსი. კონსერვატორი პოლიტიკოსები ძირითადად ამჯობინებენ ტრადიციულ მიღიმას, რაც უპირატესობას ანიჭებს ინდივიდუალურ ინიციატივას და კერძო წარმოების როლს სოციალურ პოლიტიკაში. რაც შეეხება ლიბერალებს, ისინი მხარს უჭერენ თანასწორუფლებიანობას და იმას, რომ სახელმწიფო ამას უზრუნველყოფდეს.

ევროპასა და კანადაში სოციალური პოლიტიკა ძირითადად ეხება პოლიტიკას, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანთა საცხოვრებელ პირობებზე. ამ ქაფნებში სოციალური პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხებია:

- ჯანდაცვის დაზღვევა
- უბედური შემთხვევის დაზღვევა
- უმუშევრობის დაზღვევა
- საპენსიო დაზღვევა
- შრომის კანონმდებლობა
- განათლება

სოციალური პოლიტიკა ხშირად ეხება იმ საკითხებს, რომელსაც რითლი და ვებერი (1973) უწოდებდნენ საშინელ პრობლემებს.

## რა არის სოციალური უზრუნველყოფა

სოციალური უზრუნველყოფის პროგრამას წარმოადგენს ნებისმიერი პროგრამა, რომლის მიზანია სოციალურად დაუცველ ადამიანები, როგორიცა დარიბი ფენა, მოხუცები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები, სტუდენტები, დაბალშემოსავლიანი მუშა-მოსამსახურები, ან ადამიანები, რომელნიც თავიანთ შრომაში ანაზღაურებას არ იღებენ, როგორიცაა დედები ან ადამიანები, რომელნიც უვლიან ასეთი საჭიროების მქონე ოჯახის წევრს, ნათესავს, ა.შ. უსასყიდლოდ და სხვა გაჭირვებული ადამიანები, უზრუნველყოს მინიმალური შემოსავლით ან საჭირო სერვისებით. სოციალური უზრუნველყოფის პროგრამას შეიძლება ახორციელებდეს სამთავრობო ან არა-სამთავრობო ორგანიზაციები. სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები ძირითადად უფასოა ან გააჩნია ნომინალური გადასახადი და ისინი დაფინანსებულია სახელმწიფოს ან მეცნატების მიერ. ასევე შესაძლებელია იგი მოსახლეობის შემოსავლიდან დაქვითული გადასახადებიდან ფინანსდებოდეს.

სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების მაგალითებია:

- საპენსიო პროგრამა
- სოციალური დაზღვევის პროგრამა, რომელიც ხშირად ეფუძნება შემოსავალს, საიდანაც ხდება სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისთვის გადახდა. ეს გადასახადი ხშირად შეადგენს საგადასახადო სისტემის ნაწილს და შეიძლება იგი შედიოდეს საშემოსავლო გადასახადში;
- პენსია ან სხვა ფულადი დახმარება დაბალშემოსავლიანი პირებისათვის, ასევე მათვის, რომელთაც არ შეუძლიათ უზრუნველყონ საკუთარი ძირითადი საცხოვრებელი პირობები, განსაკუთრებით ეს ეხება მოხუცებს, უმუშევრებს, ავადმყოფებს, შეზღუდული შესაძლებლობების პირებს, ბავშვიან ოჯახებს;
- უფასო ან იაფი სამედიცინო უზრუნველყოფა ავადმყოფი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის;
- უფასო ან იაფი საჯარო განათლება ყველა ბავშვისთვის. ასევე, ფინანსური დახმარება, ზოგჯერ პენსიის ან სტიპენდიის სახით. ასევე ეს შეიძლება იყოს სასწავლო სესხი მათვის ვინც უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს ან გადის პროფესიული სწავლების კურსს;
- სახელმწიფო ასევე შეიძლება დააფინანსოს სოციალური მუშაობა ან სათემო ორგანიზაციები, რომელიც უზრუნველყოფს სერვისებს გაჭირვებული ადამიანებისათვის.
- სახელმწიფო შეიძლება ფინანსურად დაეხმაროს გაჭირვებულ, უმუშევარ ადამიანებს.

პოლიცია, კრიმინალური სასამართლო, სასჯელადსრულებითი დაწესებულებები არ წარმოადგენენ სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ნაწილს, მაშინ როცა ბავშვთა დაცვის სამსახურები ამ სისტემის ნაწილია. სოციალური უზრუნველყოფისა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის ახლო კავშირია, რამდენადაც ორივე სისტემა სოციალური კონტროლის საშუალებას

წარმაოდგენს. თუმცა, სამართალდამცავი სისტემის ფუნქცია უფრო იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანები უზრუნველყოს სამართლიანი განაჩენით, ვიდრე განახორციელოს მათი სოციალური უზრუნველყოფა.

თუმცა სასჯელადსრულებით დაწესებულებებში დაკავებული პირები არ არიან უფლებამოსილი იყვნენ სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების ბენეფიციარები, ამ დაწესებულებებიდან გამოსვლის შემდეგ მათთვის და მათი ოჯახებისათვის ბევრ ქვეყანაში მრავალი პროგრამა არსებობს, რადგანაც ქოფილი პატიმრების და მათ ოჯახებს ერთის მხრივ ბევრი მწვავე სოციალური საჭიროება შეიძლება პქონდეთ, ხოლო მეორეს მხრივ თუ არ მოხდება მათი დახმარება, აუცილებლად იარსებებს რეციდივების წარმოქმნის დიდი რისკი. ბევრ ქვეყანაში სოციალურ უზრუნველყოფის გაუმჯობესებაზე დახარჯულ თანხას ამართლებენ იმ ეკონომიკით, რომელსაც ამ გზით ახორციელებენ სამართლდამცავ სისტემაზე, გარევულწილად ჯანდაცვაზე და სასჯელადსრულებაზე.

სახელმწიფოები, რომელთაც ამომწურავი, სრულყოფილი სოციალური უზრუნველყოფის სისტემები გააჩნიათ, სოციალურად უზრუნველყოფილ ქვეყნებად ითვლებიან. ასეთ ქვეყნებში სოციალური უზრუნველყოფის სერვისების ხელმისაწვდომობა ითვლება სოციალურად დაუცველი ფენების ძირითად და აუცილებელ უფლებად. ეს პოზიცია დაფიქსირებულია გაეროს კონვენციაში სოციალური და ეკონომიკური უფლებების შესახებ და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და დოკუმენტებში. შესაბამისად, მრავალი ადამიანი სოციალურ უზრუნველყოფას აიგივებს სოციალურ სამართლიანობასთან და ადარებენ მას კრიმინალურ სამართალში სამართლიანი გადაწყვეტილების არსებობას ან პირიქით, არარსებობას.

## სოციალური უზრუნველყოფის ტიპები

### სოციალური სამუშაოს როლი სოციალურ უზრუნველყოფაში

სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნებისთვისაც კი, როგორიცაა აშშ, რომელიც გლობალურად სოციალურად უზრუნველყოფილ ქვეყნადაა მიჩნეული. თუმცა ამ ქვეყანას გააჩნია მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსები და ტექნოლოგიები, მისი მრავალი მოქალაქე ყოველდღიურად ებრძვის სიდარიბეს, ისევე როგორც ემოციურ და ფსიქოლოგიურ პრობლემებს, რაც უარყოფითად მოქმედებს მათ უნარებზე საკუთარი თავის რეალიზაცია მოახდინონ როგორც ოჯახში, ასევე საზოგადოებაში. 18 წლამდე ყოველი მეოთხე მოზარდი სიდარიბეში ცხოვრობს. ქვეყნის მრავალფეროვანი მოსახლეობა (სხვადასხვა რასის, რელიგიის, და ა.შ. წარმომადგენლები) ხშირად წარმოადგენენ დისკრიმინაციის და განკიცხვის საგანს. ყოველდღიურად მილიონობით ბავშვი ვერ დებულობს შესაბამის კვებას, არ ცხოვრობს უსაფრთხო გარემოში; ასვე მათთვის არ არის ხელმისაწვდომი მაღალი ხარისხის ჯანდაცვის სერვისები.

სხვადასხვა ადამიანებს განსხვავებული წარმოდგენა აქვთ იმაზე, რა უნდა გაკეთდეს. ამჯერად ჩვენი მიზანია არა ის, რომ განვსაზღვროთ მოსახლეობის პრობლემები, არამედ ის, როგორ არის შესაძლებელი ამ პრობლემების გადაჭრა.

როცა იწყება ფიქრი და მუშაობა პრობლემების გადაჭრის მიზნით მეთოდებისა და პროგრამების განვითარებაზე, ამას ხშირად სოციალურ უზრუნველყოფას უწოდებენ. პირველ რიგში, სოციალური უზრუნველყოფა მოიცავს სხვადასხვაგარ პროგრამებსა და სერვისებს, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა შედაგათებით საჭიროებაში მყოფი ადამიანების უზრუნველყოფას. დახმარება შეიძლება იყოს ფულადი ან არა-ფულადი (მაგ: ტანსაცმელი, მედიკამენტები, საკვები პროდუქტები, სამედიცინო ან ფინანსური კონსულტაციები).

ასევე, სოციალური უზრუნველყოფა, როგორც პროგრამებისა და სერვისების სისტემა, შექმნილია ადამიანთა საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით. საჭიროებები შეიძლება იყოს ძალზე მრავალფეროვანი: ეკონომიკური, სოციალური, ჯანმრთელობის, განათლების და ასევე ეხებოდეს ადამიანების ზოგად ცხოვრების დონეს.

და ბოლოს, სოციალური უზრუნველყოფის შედეგი უნდა იყოს ცალკეული ადამიანების, ადამიანთა ჯგუფების და მთლიანად თემების სოციალური პირობების გაუმჯობესება. ამ პროგრამებისა და სერვისების დროულად დანერგვა საბოლოოდ მთელ საზოგადოებას მოუტანს სარგებელს.

### გადაუდებელი და ინსტიტუციონალური სოციალური უზრუნველყოფა

არნოლდ ვილენსკი და ჩარლზ ლებოქსი, თავიანთ ნაშრომში ინდუსტრიული საზოგადოება და სოციალური უზრუნველყოფა (1965) ცდილობები უპასუხოს ძირითად კითხვას: სოციალური უზრუნველყოფა უნდა შექმნას თუ არა მხოლოდ მწვავე საჭიროების მქონე ადამიანების, თუ ეს უნდა იყოს აუცილებელი სერვისები, რაც საზოგადოებას უნდა მიეწოდებოდეს? ვილენსკიმ და ლებოქსმა შეიმუშავეს ორი კონცეფცია, რომელიც დაგვეხმარება სოციალური უზრუნველყოფის რაობის გაგებაში. ეს არის კონცეფციები გადაუდებელი და ინსტიტუციონალური სოციალური უზრუნველყოფის შესახებ.

მათ ეს ტერმინები შემდეგნაირად განმარტეს:

გადაუდებელი სოციალური უზრუნველყოფა: სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოები იწყებენ მოქმედებას მხოლოდ მაშინ, როცა ამის მწვავე საჭიროება იქმნება.

ინსტიტუციონალური სოციალური უზრუნველყოფა: სოციალური უზრუნველყოფის სერვისები არსებობს მთელი თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოებისთვის და გააჩნიათ პრევენციული ხასიათი.

### გადაუდებელი სოციალური უზრუნველყოფა

გადაუდებელი სოციალური უზრუნველყოფის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანები თავად უნდა ზრუნავდნენ საჭიროებებზე და სახელმწიფოს დახმარება მიიღონ მხოლოდ კრიზისის ან გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში. ადამიანები არ ითვლებიან უფლებამოსილად მიიღონ დახმარება მანამ, სანამ არ

ამოიწურება მათი ყველა რესურსი. მხოლოდ ამის შემდეგ შეეხება მათ სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა. ამრიგად, მანამდე სანამ ეს ადამიანები მიიღებენ ამ სახის პროგრამებს ან სერვისებს, მათ უნდა აჩვენონ რომ აკმაყოფილებენ დადგენილ კრიტერიუმებს. ხშირად მათი ეს მცდელობა შეიძლება წარუმატებლად დამთავრდეს და ისინი ვერ გახდენ სერვისის მიმღები.

გადაუდებელი სოციალური უზრუნველყოფის შემთხვევაში იყენებენ შერჩევითი უფლებამოსილების მცნებას. როცა უფლებამოსილება შერჩევითია, სოციალური სერვისი მიეწოდებათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელინიც აკმაყოფილებენ განსაზღვრულ კრიტერიუმებს. ამ დროს კლიენტმა უნდა დაამტკიცოს რომ არ გააჩნია რესურსები არსებული საჭიროების დაკმაყოფილებისათვის. ამავე დროს, თუ იგი გახდება სერვისის მიმღები, დადგენილ ვადაში ერთხელ მოხდება მისი რე-სერტიფიკაცია, ანუ მან ისევ უნდა აჩვენოს რესურსების არარსებობა.

ადამიანები, რომელნიც იღებენ გადაუდებელი სოციალური უზრუნველყოფის სერვისებს/პროგრამებს, განიხილებიან როგორც განსხვავებული დანარჩენი საზოგადოებისაგან. მათ ხშირად მიაკრავენ ხოლმე ზარმაცი, უპატიოსნი, მორალის არმქონე ადამიანები იარღიყს.

დანარჩენი ადამიანები ხშირად თვლიან, რომ მათ დახმარება მხოლოდ აუცილებელი საჭიროებებისთვის უნდა მიიღონ და მათთვის მიუღებელია თუ გადაუდებელი დახმარების მიმღები ადამიანი შვილს სათამაშოს უყიდის.

ამრიგად, გადაუდებელი სოციალური უზრუნველყოფა დახმარებას ძალზე ვიწრო გაგებით განიხილავს.

არსებობს სამი რამ, რაც უნდა გვახსოვდეს გადაუდებელი სოციალური უზრუნველყოფის შესახებ:

პირველი, ყველა ეს პროგრამა ეფუძნება საჭიროებების შემთხვებას. კლიენტმა უნდა აჩვენოს, რომ არ გააჩნია ფინანსური შესაძლებლობა სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის. კლიენტები გარკვეულ პერიოდში ერთხელ განიცდიან რე-სერტიფიცირებას;

მეორე, გადაუდებელმა პროგრამებმა შესაძლოა შეუქმნან ბარიერი ამ პროგრამებში ჩართვის მსურველ ადამიანებს. დოკუმენტაციის მოგროვება ხშირად ძალზე ძნელია. ასევე, გამუდმებულმა რესერტიფიცირებამ შეიძლება კლიენტს ასეთ პროგრამაში მონაწილეობის სურვილი დაუკარგოს, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ის მას ნამდვილად საჭიროებს.

მესამე, ადამიანები, რომელნიც ასეთ პროგრამაბში არიან ჩართულნი ამით ნამდვილად არ ამაყობენ, რადგან მათ საზოგადოება არ აფასებს დადებითად.

## ინსტიტუციონალური სოციალური უზრუნველყოფა

ვილენსკისა და ლებოქსის მიერ აღწერილი მეორე კონცეფცია არის ინსტიტუციონალური სოციალური უზრუნველყოფის შესახებ. ინსტიტუციონალურ სოციალურ უზრუნველყოფას გაცილებით ფართო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე გადაუდებელს. ამ შემთხვევაში ადამიანები თემისგან დახმარებას იღებენ არა კრიზისის გამო, არამედ როგორც თანამედროვე ცხოვრების ჩვეულებრივ ნაწილს. ეს უფლებას აძლევს ამ ადამიანებს დახმარება მიიღონ მანამ, სანამ ამოწურავენ

საკუთარ რესურსებს და სანამ პრევენციული და სარეაბილიტაციო სერვისები დასჭირდებათ.

ამრიგად, ინსტიტუციონალური პროგრამები ყველასთვისაა. უფლებამოსილება ამ პროგრამებში ჩართვის არის უნივერსალური. ინსტიტუციონალურ პროგრამებში ჩართულ ადამიანებს არასოდეს კიცხავენ და ასეთი პროგრამები განიხილება როგორც საზოგადოებისთვის მთავარი, აუცილებელი კომპონენტი. ფაქტობრივად, საზოგადოების მიერ ეს პროგრამები არც განიხილება ხშირად როგორც სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები. იგულისხმება, რომ ადამიანებს ამ პროგრამების ბენეფიტებს დებულობენ თავიანთი, მიღებული სტატუსის გამო.

თუმცა, ყველა პროგრამა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც გადაუდებელი ან ინსტიტუციონალური, როგორც ამას ვიღენსკი და ლებოქსი აკეთებდნენ; ზოგიერთ პროგრამას ორივე სახის პროგრამის მახასიათებლები აქვს. ზოგი პროგრამა შეიძლება თავისი ხასიათით ინსტიტუციონალური იყოს, მაგრამ შესაძლებელია საჭიროებდეს ადამიანების უფლებამოსილების განსაზღვრას მისი ბენეფიტების მიღების მიზნით.

არსებობს სხვადასხვა კლასიფიკაციები სოციალური პროგრამებისა, მიუხედავად ამისა, შეიძლება ბევრ შემთხვევაში სოციალური დაღის და ადამიანების დაუფასებლობის საკითხი იგნორებული იყოს. საზოგადოება მზადა მიღოს ზოგიერთი სახის სოციალური პროგრამა, მაგრამ ეს მზაობაც განსხვავებულია ინდივიდუალური მენტალიტეტისა და პროგრამის მიხედვით.

რიჩარდ ტიტმუსი (1965), ცნობილი ბრიტანელი სოციალური მეცნიერი, ამბობდა, რომ სოციალური უზრუნველყოფა გაცილებით მეტია, ვიდრე დარიბებისთვის გაწეული დახმარება. მისი მოდელის მიხედვით სოციალური უზრუნველყოფა სამი ნაწილისგან შედგება:

1. ფისკალური სოციალური უზრუნველყოფა: საგადასახადო შეღავაები საშუალო და მაღალი კლასებისათვის
2. კორპორაციული სოციალური უზრუნველყოფა: საგადასახადო შეღავათები ბიზნესებისთვის
3. საზოგადოებრივი სოციალური უზრუნველყოფა: დახმარება დარიბებისათვის.

ამრიგად, არის თუ არა ყველა სოციალურ უზრუნველყოფაზე? მოვიყვანოთ აშშ-ს სტუდენტების მაგალითი: მრავალ მათგანს დამტავრებული აქვს საჯარო სკოლა, რომელიც იყო უფასო, რადგან სახელმწიფო ახდენდა მის სუბსიდირებას. ასევე, ისინი უზრუნველყოფილი იყვნენ სადილით სკოლაში, რომელიც იყო სრულფასოვანი და მათ მიეწოდებოდათ მათტვის ხელმისაწვდომ, დაბალ ფასში. აქაც სახელმწიფო ახდენდა სუბსიდირებას. გარდა ამისა, არსებობს საზოგადოებრივი კოლეჯები, სადაც გადასახადი კერძო კოლეჯებთან შედარებით ძალზე დაბალია. ახსნა აქაც იგივეა: მთავრობის სუბსიდიები.

ამრიგად, ეს ადამიანებიც არიან სოციალურ უზრუნველყოფაზე დამოკიდებული, მაგრამ მათ საზოგადოება არ განიკითხავსზოგიერთი ადამიანი იტყვის, რომ მათ ამ “სოციალური უზრუნველყოფისთვის” გადაიხადეს თავიანთი გადასახადებიდან, ხოლო სხვებმა, რომელიც სხვა სახის პროგრამების ბენეფიციარები არიან – არა. ამ განცხადების გაბათილება აღვილი არაა. ეს საკითხი გამუდმებულ პრობლემას წარმოადგენს სოციალური სამუშაოს იმ

პროფესიონალებისათვის, რომელინიც არ ეთანხმებიან სოციალური სერვისების “ღირსეულ” და “უღირსად” დაყოფას. მართლაც არსებობს თუ არა ასეთი განსხვავება სხვადასხვა სახის სოციალურ სერვისებს შორის? ფაქტია, რომ სამთავრობო სუბსიდიები, რომელიც ჩადებულია აშშ-ს განათლების სისტემაში, კარგ განათლებას ყველასათვის ხელმისაწვდომს ხდის და ამ შემთხვევაში სოციალური უზრუნველყოფის სერვისით მთელი საზოგადოება სარგებლობს.

სოციალური უზრუნველყოფა არის კერძო და საზოგადოებრივი. საზოგადოებრივია, რომელსაც მთავრობა უზრუნველყოფს, კერძო სოციალურ უზრუნველყოფას კი მოგების მიმდები ორგანიზაციები ან მოხალისეები აწარმოებენ.

საზოგადოებრივი პროგრამები შეიძლება დაფინანსებული იყოს სხვადასხვა დონის მთავრობის მიერ. ამერიკაში ასეთი პროგრამებია:

#### ▪ ფედერალური სოციალური უზრუნველყოფა

ფედერალური პროგრამები არსებობს შვიდი სახის: სოციალური დაზღვევა (პენსია მოხუცებულთათვის, უმუშევრების დახმარება, ა.შ), განათლება, საზოგადოებრივი დახმარება (ფინანსური დახმარება გაჭირვებულებისთვის, ა.შ), სამედიცინო, ვეტერანების, საბინაო და სხვა სახის სოციალური უზრუნველყოფის, რომელშიც შეიძლება შედიოდეს პროფესიული განვითარების პროგრამები ბავშვთა კვების პროგრამები, ა.შ.

#### ▪ შტატის სოციალური უზრუნველყოფა

ეს პროგრამები განსხვავდება შტატების მიხედვით. თითოეული შტატი გამოყოფს თანხას შტატის სოციალური სააგენტოების ფუნქციონირებისათვის, რომელიც შეიძლება ახორციელებდნენ პროგრამებს ბავშვთა დაცვის, ან სამართალდაცვის შესახებ. ეს პროგრამები ფინანსდება ორი წყაროდან: ა) ფედერალური გრანტები და ბ) შემოსავალი შტატის გადასახადებიდან. შტატის მთავრობამ ასევე შეიძლება დაამატოს თანხა ფედერალურ გრანტს და საზოგადოებისთვის უფრო ფართო პროგრამა დააფინანსოს.

#### ▪ ადგილობრივი სოციალური უზრუნველყოფა

ქალაქის ან ოლქის სოციალური ზურუნველყოფის პროგრამების დაფინანსების წყაროა ადგილობრივი გადასახადები. ასეთი ფონდები პირდაპირ სათემო სერვისებისათვის გამოიყენება. მაგ. პოლიციის, სახანძროს და სხვა ძირითადი ადგილობრივი სერვისების დაფინანსებისათვის. ხშირად ისინი საჭიროების მიხედვით აფინანსებენ გადაუდებელ პროგრამებსაც.

#### ▪ კერძო სოციალური უზრუნველყოფა

კერძო სოციალურ უზრუნველყოფას ახორციელებენ არასამთავრობო მომგებიანი და არამომგებიანი სააგენტოები. სოციალური უზრუნველყოფის ეს სეგმენტი ბევრ ქვეყანაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს.

არასამთავრობო სექტორი დამოკიდებულია სხვადასხვა სამთავრობო თუ კერძო ფონდებიდან დაფინანსების მოპოვებაზე. იმისთვის, რომ მათ იფუნქციონირონ, მათი ფონდების მოპოვების მცდელობა ძალზე წარმატებული უნდა იყოს. ეს წარმატება სამ ფაქტორზეა დამოკიდებული: 1) სააგენტოს უნარზე, მიაწოდოს ბენეფიციარებს მაღალი ხარისხის სერვისები; 2) ორგანიზაციის უნარზე, დემონსტრირება გაუკეთოს საკუთარ წარმატებებს და 3) თემის ფინანსურ შესაძლებლობაზე ფინანსურად დაუჭიროს მხარი მათ პროგრამებს.

კერძო სოციალური უზრუნველყოფის როლი განუწყვეტლივ იზრდება. იგი შეიძლება ოთხ კატეგორიად დაიყოს: ჯანდაცვის, საპენსიო, განათლების და სოციალური უზრუნველყოფის სერვისების. აშშ-ში კერძო სექტორის მიერ პროგრამების დაფინანსება 1985 წლიდან 1992 წლამდე 75%-ით გაიზარდა. თუმცა, დაფინანსების დიდი ნაწილი მოხმარდა საშუალო და მაღალ კლასს, და არა დარიბებს.

### **სოციალური სამუშაოს როლი სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში**

სოციალური მუშაქები ქმნიან პირველად პროფესიულ ჯგუფს სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში. თუ გავითვალისწინებო სოციალური უზრუნველყოფის ფართო განმარტებას, ამ სისტემის ფუნქციონირებისათვის სხვადასხვა სახის პროფესიონალები არიან საჭირო. იმისთვის, რომ განვსაზღვროთ სხვადასხვა ჯგუფის როლი სოციალურ უზრუნველყოფაში, საჭიროა მათი ჩართულობის დონის განსაზღვრა.

პირველადი კატეგორია შედგება პროფესიონალებისაგან, რომელნიც მიაწოდებენ ბენეფიციარებს სოციალურ, ჯანმრთელობის ან ეკონომიკურ სერვისებს. მეორად ჯგუფში შედის ის პროფესიები, რომელთა წარმომადგენლები არ მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში, მაგრამ მათი სამუშაო მოიცავს სოციალურ, ჯანდაცვის ან ეკონომიკური სერვისების მიწოდებას.

### **პირველადი ჯგუფი**

- სოციალური მუშაქები
- ფსიქოლოგი-კონსულტანტები
- სკოლის მასწავლებლები
- ფსიქიატრები
- ექთნები
- სანიტარულ-ეპიდემიური სამსახურის თანამშრომლები

### **მეორადი ჯგუფი**

- პოლიციის თანამშრომლები
- ბიბლიოთეკის თანამშრომლები

- სამხედრო მოსამსახურები
- მთავრობის წარმომადგენლები

სოციალური უზრუნველყოფის ფართო განმარტებიდან გამომდინარე განუწყვეტლივ იზრდება სოციალური მუშაკის როლიც.

სოციალური მუშაკების ქცევის კოდექსში ნათქვამია:

“სოციალური სამუშაოს ძირითად მისიას წარმოადგენს ადამიანთა ქეთილდღეობის ამაღლება და მოსახლეობის ძირეული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ამასთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალურად დაუცველი ფენების კეთილდღეობაზე ზრუნვა. სოციალური სამუშაო დიდ ყურადღებას უთმობს როგორც ყოველ ცალკეულ ინდივიდზე ზრუნვას, ასევე მთელი საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფას.

სოციალური მუშაკები ხელს უწყობენ სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას თავიანთი კლიენტების სახელით და მათთან ერთად. სოციალური სამუშაოს კონტექსტში სიტყვა “კლიენტი” გულისხმობს ცალკეულ ინდივიდებს, ოჯახებს, ადამიანთა ჯგუფებს, ორგანიზაციებსა და საზოგადოებას. სოციალური მუშაკები განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან კულტურულ და ეთნიკურ მრავალფეროვნებას და ებრძვიან დისკრიმინაციას, ჩაგვრას, სიღარიბესა და სოციალურ უსამართლობას. სოციალური სამუშაო ხორციელდება უშუალო პრაქტიკით, საზოგადოების ორგანიზებით, საზოგადოების დაუცველ ფენათა ინტერესების დაცვით, სოციალური და პოლიტიკური ქმედებებით, სოციალური პოლიტიკის შექმნითა და განხორციელებით, საგანმანათლებლო ინიციატივებით, კვლევითა და შეფასებით. სოციალური მუშაკები ცდილობენ თითოეულ ინდივიდში გააძლიერონ უნარ-ჩვევები იმისათვის, რათა მან შეძლოს საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. სოციალური მუშაკები ასევე ცდილობენ ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების პასუხისმგებლობის გაძლიერებას სოციალურად დაუცველი ფენების მიმართ. სოციალური სამუშაოს პროფესიის მისია ეყრდნობა საზოგადოების ძირითად ფასეულობათა ერთობლიობას. სოციალური მუშაკები საზოგადოების დაუცველი ფენების დასახმარებლად ახდენენ:

- სერვისის მიწოდებას
- სოციალური სამართლიანობის დამკვიდრების ხელშეწყობას
- თითოეული ინდივიდის ღირსების დაცვას
- საზოგადოების ერთიანობის დამკვიდრებას
- ადამიანთა შორის არსებული ურთიერთობების მნიშვნელობის აქცენტირებას”

სოციალური მუშაკი დღეს შეიძლება მუშაობდეს სხვადასხვა სახის ინდივიდებთან (ბავშვები, მოხუცები, უსახლკაროები, უმუშევრები, შეზღუდული

ფიზიკური შესაძლებლობების მქონე პირები, მენტალურად დაავადებულები), ან ინდივიდთა ჯგუფებთან, ოჯახებთან, ორგანიზაციებთან და თემებთან.

სოციალური მუშაკის ფუნქციაა იმუშაოს კლიენტის კეთილდღეობის ადგგენაზე და მისთვის პრევენციული, ასევე სასწრაფო, მოკლე სერვისების მიწოდებაზე. კლიენტის დახმარების სტრატეგია უკელა ზემოთ ჩამოთვლილ პერსპექტივას უნდა მოიცავდეს, რადგანაც ხშირად სხვადასხვა ფაქტორები ერთმანეთისგან გამომდინარებს და ერთმანეთზეა დამოკიდებული.

## როგორ უნდა გავაანალიზოთ სოციალური უზრუნველყოფის პოლიტიკა

სოციალური პოლიტიკის გაანალიზებისას საჭიროა მხედველობაში მივიღოთ რამდენად ეხება იგი ადამიანების მიმართ სამართლიანობის, თანასწორობის, ასევე სოციალური და ეკონომიკური სამართლიანობის პრობლემებს.

სოციალური პოლიტიკის გაანალიზებისას აუცილებელია განვიხილოთ ვინ უნდა იყოს პროგრამების მიმღები ან რა სახის დახმარების გაწევაა საჭირო.

ბოლო ორმოცი წლის მანძილზე, განვითარებულ ქვეყნებში სამთავრობო სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების მნიშვნელობა ძალზე გაიზარდა.

სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების დაფინანსებისათვის დახარჯული თანხა იზრდება სხვადასხვა დემოგრაფიულ ცვლილებებსა და ტექნოლოგიურ მიღწევების ერთად. მაგალითად, ასაკოვანი მოსახლეობა და დანგრეული ოჯახები საჭიროებენ საზოგადოების მნიშვნელოვან მხარდაჭერას. ასევე, ახალი სამედიცინო ტექნოლოგიები ზრდის სამედიცინო ხარჯებს. გარდა ამისა, მაღალკვალიფიციურ მუშახელზე მზარდი მოთხოვნის გამო იზრდება პროფესიული და უმაღლესი განათლების ფასი.

თუმცა, ბევრ ქვეყანაში იზრდება საზოგადოების უკმაყოფილება სამთავრობო სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების მიმართ. ძალზე ხშირად საზოგადოება თვლის, რომ სამთავრობო პროგრამები არაეფექტურია და მიუხედავად დახარჯული თანხებისა, მათი საშუალებით ვერ ხდება სოციალურად დაუცველი ფენების პრობლემების მოგვარება. ბევრი ადმინისტრაციული პროცედურა და რეგულაცია იქნა შემოღებული ასეთი პროგრამების ეფექტურობის გაზრდისთვის, მაგრამ შედეგი მაინც არ არის დამაკმაყოფილებელი.

არსებობს აზრი, რომ ბევრი სამთავრობო სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა უფრო ქმედითი და ეფექტური გახდება, თუკი “შესყიდვის უფლება” ექნებათ კლიენტებს, ანუ დახმარების მიმღებებს. ასეთ სისტემას ეწოდება ძირიდან თავისეკენ და მათი პრინციპი საპირისპიროა მეორე სახის, “თავიდან ძირისეკენ” პროგრამებისა. “ძირიდან თავისეკენ” პროგრამების მაგალითებია შემცირებული გადასახადების, თანხობრივი დახმარების, ვაუჩერების, და ა.შ. პროგრამები.

### “თავიდან ძირისეკენ” და “ძირიდან თავისეკენ” პროგრამები.

მთავრობა სოციალური უზრუნველყოფის სერვისებს ახორციელებს (1) პირდაპირ, სამთავრობო ორგანიზაციების საშუალებით ან (2) არაპირდაპირ,

არასამთავრობო ან მომგებიანი ორგანიზაციების, ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გრანტებითა და კონტრაქტებით განხორციელებული პროგრამების საშუალებით.. თითქმის ყველა ქვეყანაში ისეთი პროგრამები, როგორიცაა ხანდაზმულობის საპენსიო პროგრამები, ან საგანმანათლებლო პროგრამები (დაწყებითი და საშუალო განათლების) ხორციელდება პირდაპირ. უფრო შერეული სურათია სხვა პროგრამულ სფეროებში, მაგალითად როგორიცაა სამედიცინო პროგრამები, უმაღლესი განათლება, ბავშვთა მოვლა და სოციალური კონსულტაციების პროგრამები. ევროპის მრავალ ქვეყანაში ეს პროგრამები პირდაპირ ხორციელდება, თუმცა აშშ-ში მათი განხორციელების მექანიზმი ძირითადად არაპირდაპირია.

ბევრ ქვეყანაში სამთავრობო პროგრამების მიმართ მზარდი უქმაყოფილების ფონზე იზრდება ინტერესი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგრამების მიმართ, რადგანაც ითვლება, რომ არასამთავრო ორგანიზაციები უკეთესი ხარისხის და უფრო იაფ სერვისს აწოდებენ, ვიდრე სამთავრობო ორგანიზაციები.

აშშ-ში სხვა ქვეყნებზე უფრო მეტად გვხვდება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგრამები. აქ მიღიონობით დოლარია დახარჯული არასამთავრო ორგანიზაციები მიერ განხორციელებული პროგრამებისათვის.

თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ პროგრამებსაც არ გადაუჭრიათ მიწოდებული სერვისის ხარისხის პრობლემა. ამ ორგანიზაციების დიდი ნაწილის მიერ განხორციელებული პროგრამები არაფრით ჯობია სამთავრობო სააგენტოების მიერ განხორციელებულ პროგრამებს.

იმისთვის, რომ ამაღლებულიყო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგრამების ხარისხი, მათ დაფინანსებას კონკურსის სახე მიეცა. გრანტების მოპოვება უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ სპეციალური კონკურსის გავლის და გამარჯვების შემდეგ ხდება. ადამიანების უმრავლესობას სჯერა, რომ კონკურსის არსებობა მეტნაკლებად იძლევა იმის გარანტიას, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მაღალი ხარისხის პროგრამის დაფინანსება უფრო დაბალი დანახარჯებით.

თუმცა ხშირად, ასეთი კონკურსებიც, როცა საქმე ეხება სამთავრობო გრანტებს და კონკურსებს, კიდევ ერთი ფორმაა “თავიდან ძირისკენ” გადაწყვეტილების მიღებისა.

### ა. “თავიდან ბოლოსკენ” დაფინანსება

“თავიდან ბოლოსკენ” გადაწყვეტილების მიღებისას, მთავრობიდან (ან სხვა წევაროდან, მაგ. როგორიცაა კერძო ფონდი) თანხა ერიცხება საზოგადოებრივ ან კერძო ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს პროგრამას. “ძირიდან თავისკენ” დაფინანსების შემთხვევაში კი, პროგრამა მიმღებზეა ორიენტირებული. მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხის, ვაუჩერის და ა.შ. მიღების შემდეგ მისი მიმღები თავად იღებენ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომელი ორგანიზაცია მიაწოდებს მათ სერვისს.

რაც შეეხება “თავიდან ბოლოსკენ” დაფინანსებას, მთავრობა თავად ირჩევს პროგრამის განმახორციელებელ ორგანიზაციას.

ფულადი დახმარების პროგრამების შემთხვევაში, როგორიცაა უმუშევრობის დაზღვევა, დახმარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის, ფულადი დახმარება დაბალშემოსავლიანი ოჯახებისათვის ან ხანდაზმულობის პენსია, თანხა პირდაპირ ეძლევათ ადამიანებს. მაგრამ განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები (გარდა ფულადი დახმარების პროგრამებისა) უმეტესად “თავიდან ბოლოსკენ” პრინციპით ხორციელდება.

“თავიდან ბოლოსკენ” პრინციპით დაფინანსებულ პროგრამებს ხშირად გრძელი და წარმატებული ისტორია აქვთ. აშშ-ში ბევრი ასეთი პროგრამა (მაგ. საჯარო სკოლები) წარმატებულად ითვლებოდა. მაშ რა შეიცვალა დროის მანძილზე?

არსებობს სხვადსხვანაირი ახსნა იმისა, რატომ გაუარესდა ასეთი პროგრამების ხარისხი მთელი მსოფლიოს მასშტაბით. გაიზარდა და გართულდა სოციალური და მენეჯერიალური პრობლემები, ასევე გაიზარდა არასამთავრობო ორგანიზაციების რიცხვი, სადაც დასაქმებულია კვალიფიციური კადრის ძირითადი რესურსი. ყოველივე ამის შედეგად გაუარესდა სამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციონირების ხარისხი. ამ პრობლემის გადაჭრისთვის აუცილებელია უპირველესად სამთავრობო ორგანიზაციებმა შეცვალონ მუშაობის სტილი საზოგადოებაში მუდმივად მიმდინარე ცვლილებების საპასუხოდ.

საზოგადოებაში განუწყვეტლივად მიმდინარეობს ცვლილებები, სამთავრობო ორგანიზაციები კი ბიუროკრატიული სტრუქტურის გამო არ ცვლიან მუშაობის გზებსა და სტილს ადვილად და სწრაფად. მათ სცადეს ეს ხარვეზი საგრანტო კონკურსების გზით აღმოეფხვრათ, მაგრამ საქმე იმაშია, როცა საგრანტო კონკურსი მთავრობის მიერ ცხადდება, არჩევანი ხშირად სწორად არ კეთდება. ამის მიზეზი კი ისაა, რომ გადაწყვეტილებას ის ადამიანები არ იღებენ, რომელთათვისაც ეს პროგრამები ხორციელდება. იმ შემთხვევაშიც კი, როცა გადაწყვეტილების მიღებისას არის მცდელობა მხედველობაში მიიღონ სოციალურად დაუცველი ფენების ინტერესები, იგი მაინც არ არის შედეგიანი, რადგან მათ არ იციან სწორად როგორ განსაზღვრონ და გაითვალისწინონ ამ ადამიანების ინტერესები.

კონკურსის არსებობა გამოსავალი მხოლოდ მაშინაა, როცა გადაწყვეტილება დაფუძნებულია ადვილად გაზომვად და შედარებით საიმედო საბოლოო შედეგებზე.

მაინც რატომ არის მთავრობის მუშაობა ხშირად არაეფექტური? ხშირად საჭიროა ინვესტიციის ჩადება დამწერებ კომპანიებში და ძველი, არაეფექტური სამსახურების დახურვა. მთავრობა კი ხშირად თავს იკავებს წარუმატებელი ორგანიზაციების დახურვისაგან და პირიქით, მეტ თანხას გამოყოფს მათთვის, რათა საკუთარი შეცდომები შენიდოს. ასევე, ხშირად ორგანიზაციების დაფინანსება მათი კვალიფიკაციის კი არა, პოლიტიკური მიზეზების გამოხდება, რაც ასევე ხდება უხარისხო, არაეფექტური პროგრამების არსებობის მიზეზი.

### ბ. „მირიდან თავისკენ”, კლიენტებზე ორიენტირებული დაფინანსება

“თავიდან მირისკენ” პროგრამების ბიუროკრატიულობის გამო, ბევრისთვის “მირიდან თავისკენ” პროგრამები უფრო მიმზიდველია.

სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები საბაზო ეკონომიკის პრინციპებს რომ ემორჩილებოდნენ, მაშინ მხოლოდ ის ორგანიზაციები მიიღებდნენ დაფინანსებას და განხორციელებდნენ პროგრამებს, რომელსაც აირჩევდა კლიენტი.

კლიენტზე ორიენტირებული პროგრამები აიძულებენ ორგანიზაციებს ანგარიშვალდებულნი იყვნენ კლიენტების წინაშე. ასეთ სისტემაში ორგანიზაციები დაინტერესებულნი არიან მოიპოვონ კლიენტების კეთილგანწყობა. წარუმატებელი და არაეფექტური პროგრამების დახურვაც არაა მნელი ამ შემთხვევაში, რადგან თუ მათ კლიენტი არ ეყოლებათ, ეს თავისთავად მოხდება. თუკი ორგანიზაცია ფასს გაზრდის ან ხარისხს გააუარავსებს, კლიენტი სხვა ორგანიზაციას მიმართავს. ასე რომ, საბაზო ეკონომიკის პრინციპით მომუშავე სისტემაში, ორგანიზაციები იძულებულნი არიან მუდამ იზრუნონ მიწოდებული სერვისის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ასეთი პროგრამები საშუალებას იძლევა კლიენტმა მიიღოს ისეთი სერვისი, როგორიც მას სჭირდება.

გარდა ამისა, ასეთ მექანიზმს კიდევ ერთი დადებითი მხარე აქვს. “ძირიდან თავისკენ” პროგრამების არსებობა ხელს უწყობს საზოგადოებაში თანასწორობის ჩამოყალიბებას. როცა ადამიანებს უხდიან თანხას განათლებისთვის, მას აქვს საშუალება იაროს ჩვეულებრივ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც იგი სხვებისგან არ იქნება გამორჩეული, როგორც სოციალურად დაუცველი. ხოლო როცა დაფინანსებულია პროგრამა ან დაწესებულება დარიბებისათვის, რა თქმა უნდა, აქ მოსიარულე ადამიანები ვერ გადაურჩებიან სოციალურად დაუცველი ადამიანის იარღიყს. ეს კი საზოგადოების პოლარიზებას და სოციალური უსამართლობის გამწვავებას იწვევს.

გრანტებისა და კონტრაქტების საფუძველზე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სამთავრობო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში ხშირად მთავრობის გავლენა იზრდება ასეთ ორგანიზაციებზე. როცა მთავრობა თავად არჩევს სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციას კლიენტისათვის, იგი რა თქმა უნდა აკონტროლებს მიწოდებული სერვისის შინაარსს.

რაც შეეხება კერძო ორგანიზაციებს, რომლებიც “ძირიდან თავისკენ” სისტემის პროგრამებს ახორციელებენ, ისინი გაცილებით თავისუფლები არიან, რადგანაც პროგრამების განხორციელების გზა და შინაარსი ამ შემთხვევაში სამომხმარებლო ბაზრის მიერაა ნაკარნახევი, და არა მთავრობის მიერ. ამიტომ ისინი ნაკლებად განიცდიან მთავრობის კონტროლს.

“ძირიდან თავისკენ” პრინციპის თანახმად ფუნქციონირებენ სამედიცინო, საბინაო, სატრანსპორტო, კვების, საბავშვო, საგანმანათლებლო, პროფესიული განვითარების და სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამები.

ამ სახის პროგრამების განხორციელების სხვადასხვა საბაზო მექანიზმები არსებობს. ესენია:

1. საგადასახადო შედავათები
2. ფულადი დახმარებები
3. სერვისისთვის გადახდილი თანხის ანაზღაურება
4. ვაუჩერები.

შესაბამისი საბაზრო მექანიზმის არჩევისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული დახმარების მიმღები ჯგუფის საჭიროებები და საშუალებები, ასევე ადგილობრივი ბაზრის სტრუქტურა.

## დასკვნა

არ არსებობს მარტივი პასუხი კითხვაზე, რომელი სახის პროგრამებია უკეთესი, “თავიდან ძირისკენ” თუ “ძირიდან თავისკენ”, ან რომელი საბაზრო მექანიზმის გამოყენებაა უფრო გამართლებული. ამ კითხვებზე პასუხი განსხვავებულია პროგრამების და პროგრამული სფეროების მიხედვით; ასევე იგი დამოკიდებულია არსებული სერვისების სტრუქტურაზე, პოტენციურ ბაზარზე და არსებულ სოციალურ პოლიტიკაზე. ასევე მნიშვნელოვანია სამიზნე ჯგუფის მენტალიტები. გარდა ამისა ის, რაც ერთ ქვეყანაში მისაღებია, შესაძლებელია აკრძალული იყოს მეორე ქვეყნის კანონმდებლობით.

თუმცა ზოგადი დასკვნის გაკეთება მაინც შესაძლებელია.

როგორც წესი, უპირატესობა “ძირიდან თავისკენ” პროგრამებს ენიჭებათ. თუმცა შესაძლებელია ამ პროგრამებმა არ გაამართლონ იმ შემთხვევაში, თუკი ნაძვილი საბაზრო გარემო არ განვითარდება, ან კლიენტები არ იქნებიან საკმარისად გონიერი მომხმარებლები, რომ მართებული არჩევანი გააკეთონ.

ფულადი დახმარების პროგრამებს უპირატესობა აქვთ ვაუჩერების და გადახდილი თანხის ანაზღაურების პროგრამებთან შედარებით, რადგან თანხის მიღება ადამიანებს საშუალებას აძლევთ თავად გააკეთონ არჩევანი როგორ გაიუმჯობესონ ცხოვრების პირობები. თუმცა ფულადი დახმარება არაა გამართლებული, როცა საქმე ეხება დიდ თანხას ან პროგრამა ითვალისწინებს კონკრეტული პროდუქტის ან სერვისის დამატებით მიწოდებას.

და ბოლოს, დახმარების მიმღებ ფენაზე ორიენტირებული პროგრამების დაფინანსება არ არის მისტერია. განვითარებულ ქვეყნებში, ასეთი პროგრამების განვითარებისთვის პრობლემას პოლიტიკური ფაქტორები უფრო განაპირობებს, ვიდრე კონცეპტუალური, რადგან ასეთი პროგრამების დანერგვა ხშირად მნიშვნელობანი პოლიტიკური ფიგურების ინტერესებს ეწინააღმდეგება.

უმეტეს განვითარებად ქვეყნებში ჯერჯერობით არ არის ჩამოყალიბებული “თავიდან ძირისკენ” პროგრამების ისეთი დიდი ქსელი, როგორიც გვხვდება განვითარებულ ქვეყნებში. აქედან გამოდინარე, განვითარებად ქვეყნებს შეუძლიათ განვითარებული ქვეყნების მაგალითის საფუძველზე გაითვალისწინონ შემდეგი: თუ მათვის ბენეფიციარებზე ორიენტირებული, “ძირიდან თავისკენ” ტიპის პროგრამები უნდა დაინერგოს ქვეყანაში მანამ, სანამ “თავიდან ძირისკენ” ტიპის სერვისის მიმწოდებლები დაფუძნდებიან როგორც პროგრამულად, ასევე პოლიტიკურად.

საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დაფუძნებული სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბება ისეთ ქვეყნებშია უფრო ადვილი სადაც შესაბამისი სერვისის სამსახურები უკვე არსებობს. თუმცა ასეთი სამსახურები განვითარებად ქვეყნებში ნაკლებადა, მათ არ უნდა თქვან საბაზრო ეკონომიკის პრინციპის სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბებაზე უარი, რადგან

ასეთი სამსახურები ჩამოყალიბება შესაძლებელია ხანგრძლივი და სისტემური მუშაობის შედეგად.

## სიდარიბის ცნება. სოციალური პოლიტიკა და სიღარიბე

სიღარიბის ცნება სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულად განისაზღვრება. სიღარიბე ძირითადად ხასიათდება როგორც მატერიალური ხელმოკლეობა. ზოგადად, სიღარიბე განისაზღვრება როგორც მდგომარეობა, როცა ადამიანს არ აქვს საკმარისი ფული ან თავის რჩენის სხვა საშუალება.

თავის რჩენის ძირითადი საშუალებები განისაზღვრება იმით, რამდენად ხელმისაწვდომია ადამიანებისთვის ინფრასტრუქტურის სერვისები, როგორიცაა უსაფრთხო სასმელი წყალი, მისაღები სანიტარული მდგომარეობა, ნაგვის გატანა, მოწესრიგებული საკანალიზაციო და სადრენაჟე სისტემები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მოწესრიგებული გზები ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულებისათვის, ქუჩის განათება და საზოგადოებრივი ტელეფონები. ზოგიერთ ქვეყანაში, სხვა სერვისების არსებობა, როგორიცაა უსაფრთხო სათამაშო სათამაშო მოედნები, სათემო ცენტრები, ელექტრო მომარაგება და სოციალური სერვისები, უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება ადამიანების საცხოვრებელი სტანდარტების გაუმჯობესებისათვის, რაც ღარიბებს საშუალებას აძლევს თავი დააღწიონ სიღარიბეს.

სიღარიბე არ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ როგორც ფულადი შემოსავლის სიმწირე. სოციალური ინდიკატორები და რისკისა და გაჭირვების ინდიკატორები აუცილებლად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული რათა სიღარიბის სრული და ნათელი სურათი წარმოვიდგინოთ.

## **გლობალური სიღარიბე**

მსოფლიო ბანკის მონაცემებით (2001) 1.2 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს სიღარიბეში მსოფლიოს მასშტაბით. გარდა ამისა, იუნისეფის ანაგარიშის მიხედვით (2001) კაცობრიობის ერთი მეოთხედი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს. ასევე, დაახლოებით 1 მილიარდი ადამიანი არის წერა-კითხვის უცოდინარი. 1.3 მილიარდი ადამიანისათვის არ არის ხელმისაწვდომი უსაფრთხო სასმელი წყალი. დაახლოებით 2.6 მილიარდი ადამიანისათვის არ არის ხელმისაწვდომი ადექვატური სანიტარული მდგომარეობა.

გაეროს საზოგადოებრივი ინფრამაციის დეპარტამენტმა განსაზღვრა (1996), რომ მსოფლიოს დარიბი ადამიანების 2/3 ცხოვრობს აფრიკისა და აზიის 10 ქვეყანაში. ესენია ბანგლადეში, ბრაზილია, ცენტრალური და დასავლეთი ჩინეთი, ეთიოპია, ინდონეზია, იგერია, აკისტანი, ფილიპინები და ვიეტნამი. აფრიკის დარიბი ქვეყნების უმრავლესობამ დამოუკიდებლობა უკროპის კოლონიური ძალებისგან მოიპოვა მე-20 საუკუნის მე-2 ნახევარში. აზიაში სიღარიბე უფრო კონცენტრირებულია სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში.

მილიარდ ადამიანზე მეტი დღესაც დღეში 1 დოლარზე ნაკლებ შემოსავალზე ცხოვრობს (მსოფლიო ბანკი, 2001). ასევე, სიღარიბეში უმეტესად ქალები და ბავშვები ცხოვრობენ. მათი უმეტესობა სოფლის მაცხოვრებლები არიან. 110 მილიონზე მეტ სკოლის ასაკის ბავშვს არ აქვს სკოლაში სიარულის საშუალება. ყოველწლიურად ხუთ წლამდე დაახლოებით 11 მილიონი ბავშვი იღუპება ისეთი ადგილად თავიდან ასაცილებელი დაავადებებით, როგორიცაა ფილტვების ანთება, დიარეა, მალარია და წითელა. მსოფლიოს ბავშვების დაახლოებით 40%, რაც შეადგენს 600-დან 700 მილიონამდე ბავშვს, სიღარიბეში ცხოვრობს.

### სიღარიბის განსაზღვრა

თითოეული ქვეყანა სიღარიბეს განსაზღვრავს განვითარების დონის, სოციალური ნორმების და დირექტულებების საფუძველზე. ამის გამო, სიღარიბის დონე სხვადასხვა ქვეყნებისთვის განსხვავებულია. ამრიგად, არ არსებობს სიღარიბის საყოველთაო დონე. სიღარიბის დონე განისაზღვრება თანხის იმ რაოდენობით, რაც ხელისუფლების ან საზოგადოების აზრით აუცილებელია ადამიანისათვის, რათა მისი მინიმალური მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული იყოს.

აშშ-ში სიღარიბის დონის განსაზღვრა შეიმუშავა მოლი ორშანსკიმ 1965 წელს. მან სიღარიბის დონე განსაზღვრა იმის მიხედვით, რა რაოდენობის თანხა სჭირდებოდა ოჯახს რათა მინიმალურად საჭირო რაოდენობის საკვები შეეძინა და ეს რიცხვი გაამრავლა სამზე, რადგან თითო ოჯახში საშუალოდ სამი წევრია. ეს სტანდარტი ამჟრიკაში დღესაც გამოიყენება.

სიღარიბის დონის განსაზღვრას პოლიტიკური მოტივებიც გააჩნია. სიღარიბის დონე რადაც კონკრეტულ დროს განისაზღვრება და მისი შეცვლა შეიძლება ყოველწლიურად მოხდეს. მნიშვნელოვანია, როგორ უნდა მოხდეს მისი განსაზღვრა, რადგან ამ დროს გამოიკვეთება თუ რას აკეთებს ან რას არ აკეთებს ხელისუფლება დარიბთა პრობლემების მოგვარებისათვის.

გლობალური სიღარიბის დონის განსაზღვრისას არ გამოიყენება აშშ-ს მიერ გამოყენებული სიღარიბის დონის განსაზღვრის პრინციპი. თუმცა, ამ მეთოდის გამოყენების შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, სიღარიბის დონეს მსოფლიო ბანკი განსაზღვრავს დღეში 1 და 2 აშშ დოლარის შემოსავლის მიხედვით, იმის მიხედვით ქვეყანაში როგორია ვალუტის შესყიდვის უნარიანობა. 1998 წელს განისაზღვრა, რომ მსოფლიოში 1.2 მილიარდი ადამიანი დღეში 1 აშშ დოლარზე ნაკლებს მოიხმარს (ეს არის მოხლო მოსახლეობის 24%), ხოლო 2.8 მილიარდი ადამიანს კი დღეში 2 აშშ დოლარზე ნაკლები ჰქონდა. გაანალიზების მიზნით მსოფლიო ბანკი თითოეული ქვეყნისთვის ამ ქვეყნის შესაბამის სიღარიბის მაჩვენებელს იყენებს.

### სოციალური უზრუნველყოფა და სიღარიბე

სოციალური უზრუნველყოფა განისაზღვრება როგორც ფიზიკური ჯანმრთელობის, ემოციური კომფორტის და ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობა. ტერმინი “სოციალური უზრუნველყოფა” ასევე გულისხმობს საზოგადოების ძალისხმევას დაქმაროს თავის მოქალაქეებს ამ მდგომარეობის მიღწევაში და მოიაზრება როგორც საზოგადოებრივი დახმარების ან სხვა ეკონომიკური და სოციალური სერვისების პროგრამების სინონიმი. სოციალური უზრუნველყოფა ნიშნავს სახელმწიფოს ღონისძიებებს, რომელიც უზრუნველყოფს ღარიბი მოქალაქეებისათვის ფულადი, სამედიცინო, საკვებით, ბინით ან სხვა სახის პროგრამებით დახმარებას. სხვადასხვა ქვეყნებში განსახვავებული მდგომარეობაა იმის მიხედვით, რამდენს ხარჯავს სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფაზე სოციალურ დაზღვევასთან და მთლიან ეკონომიკასთან მიმართებაში.

ევროპის ქვეყნებს აქვთ უნივერსალური სოციალური პროგრამები, რომელიც უზრუნველყოფს უფასო სამედიცინო და ჰოსპიტალურ მომსახურებას, დახმარებას ოჯახებისათვის და პენსიებს მოხუცებისთვის. სკანდინავიის ქვეყნებს, როგორიცაა ნორვეგია და შვეცია, აქვთ მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროგრამები. ეს პროგრამები იმდენად ფართო და ბევრისმომცველია, რომ ამ ქვეყნებში სიღარიბე პრაქტიკულად არ არსებობს.

კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და ბრიტანეთი თავიანთი ეკონომიკის დიდ ნაწილს დარიბთა დახმარებაზე ხარჯავენ. დარიბთა დახმარებას დასაქმებული ადამიანები და ოჯახები ახორციელებენ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, როგორიცაა იაპონია, სამხრეთი კორეა და სინგაპური.

აფრიკის, ლათინური ამერიკის და აზიის ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს სოციალური უზრუნველყოფისათვის ნაკლები ბიუჯეტი აქვთ. თუმცა, სამხრეთ აფრიკას აქვს ერთ-ერთი ყველაზე უფრო განვითარებული სოციალური უზრუნველყოფის სისტემა, განსაკუთრებით სრულყოფილია მისი სამედიცინო მომსახურების სისტემა. ურუგვაის აქვს კარგად განვითარებული სოციალური უზრუნველყოფის სისტემა. ინდოეთისა და შრი ლანკას სოციალური უზრუნველყოფის სისტემები ნაკლებად განვითარებულია და მცირე რაოდენობის ბენეფიციარებს ემსახურება.

## სოციალური უზრუნველყოფის სისტემაზე დამოკიდებულების კატეგორიები

სოციალური უზრუნველყოფის სისტემაზე დამოკიდებულების ორი კატეგორია არსებობს: ა) შთამომავლობრივი დამოკიდებულება და ბ) სიტუაციური დამოკიდებულება. სოციალურ უზრუნველყოფაზე დამოკიდებულ ოჯახებში გაზრდილი ბავშვები, რომელიც თავის მხრივაც სოციალურ უზრუნველყოფაზე არიან დამოკიდებულნი, არიან შთამომავლობრივად დამოკიდებულნი ამ სისტემაზე. შთამომავლობრივი დამოკიდებულება სიღარიბის საკმაოდ მძიმე ფორმაა და მისი გადალახვა ოჯახებისთვის ძალზე ძნელია. დროთა მანძილზე, სიღარიბის ეს ფორმა მენტალიტეტზე ახდენს დიდ გავლენას, რაც უკეთ პიროვნების და მთელი ოჯახის ყოფაზე აისახება. აშშ-ში ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე გამოიკვეთა, რომ ასეთი სიღარიბე ოჯახების ნგრევას იწვევს. ყველაზე უარეს შემთხვევებში,

ასეთი სიღარიბე მთელ სამეზობლოებს, ქალაქებს და ოქმებს მოიცავს და მათში უიმედობას და სასოწარკვეთილებას წარმოშობს.

სიტუაციურად დამოკიდებული ის ოჯახები არიან, რომელნიც კრიზისის გამო ფინანსური დამოუკიდებლობის მდგომარეობიდან სოციალურ უზრუნველყოფაზე დამოკიდებულ მდგომარეობაში გადავიდნენ. ამის მიზეზი შეიძლება იყოს განქორწინება, ავადმყოფობა, ეკონომიკური კრიზისი, ბუნებრივი კატასტროფა ან სამოქალაქო პრობლემები.

### დასუსტებული ოჯახები და ნათესაური სისტემები

1900 წელს ამერიკელმა სოციალურმა მუშაქმა მერი რიჩმონდმა ოჯახს უწოდა “უდიდესი სოციალური ერთეული და ფუნდამენტური სოციალური ფაქტი”. იგი ითხოვდა ხელისუფლების პროცედურების, ბავშვთა შრომის კანონმდებლობის, ინდუსტრიული უსაფრთხოების რეგულაციების და დასაქმებული ქალების უფლებების გაუმჯობესებას, ასევე ინდუსტრიული რეგულაციებას შეცვლას ოჯახის ერთეულის გაძლიერების მიზნით. იგი მოუწოდებდა ადამიანებს გამუდმებით დაესვათ საკუთარი თავისთვის კითხვა “ვაკეთებთ თუ არა რამეს იმისათვის, რომ ბავშვები უკეთესი ოჯახის უფროსები გახდნენ, ვიდრე მათი მშობლები არიან?”.

ერთი საუკუნის შემდეგ, მსოფლიოში ტრადიციულმა ოჯახმა და ნათესაურმა სისტემებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადეს. ეს ცვლილებები ძირითადად გამოწვეული იყო ისეთი ეკონომიკური ფაქტორებით, როგორიცაა საოჯახო სოფლის მეურნეობის კრიზისი, შედარებით მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების არსებობა ქალაქების ფაბრიკა-ქარხებში და ახალი ეკონომიკური შესაძლებლობები მეზობელ ქავენებში. ოჯახის ფასეულობების შეცვლის პროცესებში გარკვეული როლი პოლიტიკურმა და სოციალურმა ფაქტორებმაც შეასრულეს. მაგალითად, ასეთია მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპი, ასაკოვანი მოსახლეობის რიცხოვნობის მატება, დასაქმებული ქალების რაოდენობის გაზრდა, ომები და სამოქალაქო კონფლიქტები.

ოჯახის ფასეულობების ცვლილებას თან ახლავს სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სერვისების მობილიზება ოჯახების დახმარების მიზნით. ბავშვთა და მოხუცთა მოვლის სერვისები პირველხარისხოვანი გახდა ქალებისათვის, რადგანაც ეს ძირითადად მათი პასუხისმგებლობაა.

### სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის მაგალითი (აშშ)

აშშ-ში 1935 წელს სოციალური უსაფრთხოების კანონის მიღებისთანავე დაიწყო ბავშვთა ფულადი დახმარების პროგრამა. ამ დროს დარიბი, მარტოხელა დედების უმრავლესობა იყო ქვრივი და ფულადი დახმარების პროგრამა განსაზღვრული იყო სწორედ ასეთი დედების დახმარებისთვის, რათა მათ საშუალება პქონოდათ არ ემუშავათ და სახლში აღეზარდათ ბავშვები. თავიდან ამ პროგრამას ერქვა “პენსია დედებისათვის”, თუმცა დროთა მანძილზე შეიცვალა

როგორც მისი სახელწოდება და მას დაერქვა ფულადი დახმარების პროგრამა, ასევე ბენეფიციარების შერჩევის კრიტერიუმები.

1960-იან წლებში, აშშ-ს კონგრესმა მიიღო ახალი კანონები რაც წამაქეზებელი მიზეზი იყო დედებისათვის დასაქმებულიყვნებ ან ჩართულიყვენენ პროფესიული განათლების პროგრამებში. ფედერალურმა ხელისუფლებამ ასევე მოითხოვა მამებისაგან, რომელთა შვილები სახელმწიფო დახმარებას იღებდნენ, გადაეხადათ თანხა ბავშვების მოვლისთვის. 1980-იან წლებში აშშ-ში მარტოხელა დედების უმრავლესობა არასოდეს იყო დაქორწინებული ან იყო განქორწინებული.

1996 წელს აშშ-ს კონგრესმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა ქვეყნის სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში. მან მიიღო პირადი პასუხისმგებლობის და სამუშაო შესაძლებლობების შეთანხმების კანონი. ამ პროგრამის ფარგლებში, გაჭირვებული ოჯახებისათვის დროებითი დახმარების პროგრამამ შეცვალა ფედერალური პროგრამა ბავშვიანი ოჯახებისთვის დახმარების შესახებ. ყოფილი პროგრამის ფარგლებში, ფედერალურმა ხელისუფლებამ მოსთხოვა თითოეული შტატის მთავრობას განეხორციელებინათ დახმარება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები ყველა ოჯახისათვის. გაჭირვებული ოჯახებისათვის დროებითი დახმარების პროგრამით ფედერალური მთავრობა თანხას პირდაპირ უხდის შტატებს. ხოლო მიმღები შტატები თვითონ განსაზღვრავდნენ ბენეფიციარებს. ახალი პროგრამის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რომ გაჭირვებული ოჯახებისათვის დროებითი დახმარების პროგრამის ბენეფიციარები აუცილებელია მუშაობდნენ 2 წლის მანძილზე, ხოლო დარიბ ოჯახებს მხოლოდ ხუთი წლის მანძილზე შეუძლიათ მიიღონ მოცემული პროგრამის დახმარება.

ამ ცვლილებამ სხვადასხვანაირი შედეგები გამოიწვია. ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით შემცირდა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების მიმღებთა რაოდენობა. სხვა მონაცემების თანახმად კი, უფრო მეტი დარიბი ადამიანი, განსაკუთრებით ქალები, იძულებულნი გახდნენ ემუშავათ მინიმალურ ხელფასზე. ანგადოტური მონაცემები გამოვლინდა იმ ბავშვიანი ქალების შესახებ, რომელნიც იძულებულნი იყვნენ არჩევანი გაეკეთებინათ საკვების ყიდვასა და გადასახადების გადახდას შორის. არსებობს ვარაუდი, უნდა გაჭირვებული ოჯახებისათვის დროებითი დახმარების პროგრამის შედეგად ახალი 2.6 მილიონი ადამიანი აღმოჩნდება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ.

### რეგიონალური უთანასწორობა ისევ არსებობს

მეოცე საუკუნის ბოლო დეკადის მანძილზე ცხოვრების დონე მთელი მსოფლიოს მასშტაბით გაუმჯობესდა (მსოფლიო ბანკი, 2001). უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის (ადამიანები, რომელნიც დღეში 1 აშშ დოლარზე ნაკლებ თანხაზე ცხოვრობენ) რაოდენობა 1987 წელს იყო 28%, ხოლო 1998 წელს ეს რიცხვი 23%-მდე შემცირდა. სოციალური ინდიკატორების გაუმჯობესებასთან ერთად გაიზარდა საშუალო შემოსავალი. ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი შემცირდა. ასევე გაიზარდა საპეტიონის წარმოება.

სხვადასხვა ქვეყნების მთავრობების მონაცემებით გაიზარდა სკოლაში მოსიარულე ბაგშების რაოდენობა. გარდა ამისა, გაიზარდა ზრდასრულთა განათლების დონე. ასევე შემცირდა გენდერული უთანასწორობა.

მიუხედავად ასეთი ზოგადი სურათისა, ზოგიერთ ქვეყანაში დარიბი მოსახლეობის რაოდენობა იზრდება. სიდარიბის მაჩვენებელი იზრდება საპარის აფრიკაში. შიდსის ეპიდემიის გამო აქ სწრაფად გაიზარდა ბაგშეთა სიკვდილიანობა. საშუალოდ 151 ბაგშვი ყოველი 1000 აფრიკელი ბაგშვიდან კვდებოდა ხუთ წლამდე ასაკში. ბურკინა ფასოში, ეთიოპიაში, მალიში და ნიგერიაში ნახევარზე მეტი ბაგშვი არ დადის სკოლაში.

სამხრეთ აფრიკაში, ყოველი 10 ოჯახიდან ოთხი ოჯახი სიღარიბეში ცხოვრობს (500 მილიონ ადამიანზე მეტი). ინდოეთში კი მნიშვნელოვანი დადებითი ცვლილებები განხორციელდა დარიბ ქალთა განათლების მხრივ. გენდერული უთანასწორობა ისევ მნიშვნელოვანია როცა საქმე განათლებას ეხება. ქალთა უფლებები ამ მხრივ საკმაოდ ცუდია დასავლეთ და ცენტრალურ აფრიკაში, ჩრდილო აფრიკაში და სამხრეთ აზიაში.

### სიღარიბე და დაუცველობა საქართველოში

სიღარიბე განისაზღვრება, როგორც ადამიანის ან ოჯახის მდგომარეობა, რომელშიც ის მოკლებულია თავისი ძირითადი მოთხოვნილების (საკვები, თავშესაფარი, ფიზიკური უსაფრთხოება, საბაზო განათლებისა და პიროვნული ზრდის შესაძლებლობა, ჯანმრთელობა, კომუნიკაცია) დაკმაყოფილების შესაძლებლობას უსახსრობის ან დაბალი შემოსავლის გამო.

საქართველოში სიღარიბის მაჩვენებლები იანგარიშება შინამეურნეობის სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით. ზღვრების გაანგარიშებისთვის გამოყენებულია საკვები ენერგიის მეთოდი.

სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკური განვითარების პროგრამის დაგეგმვისას საქართველოში სიღარიბის შეფასებისთვის გამოყენებულია სიღარიბის ორი ზღვარი:

ოფიციალური საარსებო მინიმუმი – დღეის მდგომარეობით 124-128 ლარი თვეში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის ექვივალენტური მოზრდილისთვის;

უკიდურესი სიღარიბის ზღვარი – დღეის მდგომარეობით 58-63 ლარი თვეში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის ექვივალენტური მოზრდილისთვის.

ოფიციალური საარსებო მინიმუმის მიმართ სიღარიბის დონე 2002 წლის მონაცემებით დაახლოებით 52% შეადგენდა. 1994 წელს სიღარიბის დონე 80% იყო, 1995 წელს - 60%. ბოლო ათწლეულში სიღარიბის ყველაზე დაბალი დონე 1997 წელს დაფიქსირდა – დაახლოებით 46%, ხოლო ბოლო წლებში სიღარიბის დონე მცირდება გამოხატული ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

უკიდურესი სიღარიბის ზღვრის მიმართ სიღარიბის დონე 2002 წელს 15% შეადგენდა. ეს მაჩვენებელი 1999-2001 წლებში კლების ტენდენციით ხასიათდებოდა.

სიღარიბის სიღრმის მაჩვენებლის გაანგარიშება 1996 წლიდან ხდება, როდესაც დაიწყო სიღარიბის შეფასებისთვის შესაფერისი საინფორმაციო ბაზის მომზადება. ოფიციალური საარსებო მინიმუმის მიმართ სიღარიბის სიღრმის მაჩვენებელი 1996-2002 წლების პერიოდში ყველაზე დაბალი 1997 წელს იყო და მან 17.3% შეადგინა. მომდევნო წლებში ეს მაჩვენებელი 19%-20%-ის ფარგლებში მერყეობს. უკიდურესი სიღარიბის ზღვრის მიმართ იგივე მაჩვენებელი ყველაზე მაღალი 1996 წელს იყო – 14.5%, ხოლო შემდგომ წლებში 8.5%-9.5%-ის ფარგლებშია.

სიღარიბის შემცირების მოკლევადიანი სტრატეგია უმჯობესია ფოგუსირებული იყოს სიღარიბის შედარებით დაბალ ზღვარზე. შინამეურნეობების დაახლოებით მესამედს წლის მანძილზე ერთხელ მაინც მოუწია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ყოფნა. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ საქართველოს შინამეურნეობების დაახლოებით ერთი მესამედი უკიდურესი სიღარიბის ზღვართან ახლოსაა.

სიღარიბის დონის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი უმუშევრობაა. რაც უფრო მეტია შინამეურნეობაში უმუშევარი წევრები, მით უფრო მეტია ასეთი შინამეურნეობების სიღარიბის ზღვარს მიღმა მოხვედრის რისკი. შინამეურნეობებში, რომელთა ყველა წევრი უმუშევარია, სიღარიბის დონე საშუალოზე თითქმის 3-ჯერ მაღალია.

სიღარიბე ქალაქად და სოფლად მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოვლენას წარმოადგენს. სიღარიბე ქალაქად ძირითადად დაკავშირებულია არასაკმარის კვებასთან, რაც საერთო ჯამში უფრო მწვავე და ღრმა სიღარიბის მაჩვენებელია. სოფლად კი სიღარიბე არასაკმარის კვებასთან იშვიათ შემთხვევაშია დაკავშირებული, თუმცა ეს მხოლოდ იმ ფაქტითაა განპირობებული, რომ სოფლად კვების პროდუქტების მოხმარებას ძირითადად საკუთარი წარმოების სურსათი განსაზღვრავს. სოფლად მოსახლეობის უმთავრეს პრობლემას ფულადი რესურსების დეფიციტი და ინფრასტრუქტურის არასაკმარისი განვითარება განაპირობებს, რაც შესაბამისად ამცირებს ხელმისაწვდომობას მომსახურების ძირითად სახეებზე.

მიუხედავად სიღარიბის შედარებით უფრო მწვავე და ღრმა ხასიათისა, ქალაქად შედარებით უკეთესი მდგომარეობაა განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე მისაწვდომობის მხრივ. ქალაქად მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივა უფრო მეტია. ქალაქის მოსახლეობას შედარებით უფრო მიუწვდება ხელი განათლების მიღებაზე, რაც მათი დასაქმების და შესაბამისად ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივას ქმნის.

ის ფაქტი, რომ ქალაქთან შედარებით სიღარიბის დონე სოფლად თითქმის ყოველთვის დაბალია, სულაც არ ნიშნავს, რომ სოფლად სიღარიბის პრობლემა ნაკლებად მწვავე ხასიათისაა. სოფლად სიღარიბის ზღვარს ზემოთ ყოფნას განსაზღვრავს საკუთარი მოსავალი ან საკუთარი წარმოების მეცხოველეობის და

მეფრინველეობის პროდუქტები. ეს კი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე. ამის ნათელი დადასტურებაა ბოლო პერიოდში სიღარიბის ზრდა აგრარულ რეგიონებში, რის არსებით მიზეზს 1998 და 2000 წლების გვალვები წარმოადგენს. ამდენად სოფლად სიღარიბის ზღვარს ზემოთ ყოფნის მთავარ განმსაზღვრელ რესურსს მიწა წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სოფლად სიღარიბის შემცირების პერსპექტივა არსებული პირობების უცვლელობის შემთხვევაში ნაკლებად საგარაუდოა. თუ ის შემცირდება კარგი მოსავლის გამო, ეს მდგომარეობა არ იქნება სტაბილური და გაგრძელდება მხოლოდ შემდეგ გვალვამდე, სეტყვამდე ან რომელიმე სხვა სტიქიურ მოვლენამდე.

შეიძლება გამოვყოთ სიღარიბეზე მოქმედი რამდენიმე ძირითადი ფაქტორი და შევაფასოთ, რამდენად განსაზღვრავს ეს ფაქტორები სიღარიბის ზღვარს მიღმა მოხვედრას.

- დასაქმება
- უმუშევრობა
- ასაკი
- შოკები
- ინფრასტრუქტურა

სიღარიბე დროის მიხედვით ძირითადად ორი ტიპისაა:

- ქრონიკული
- წარმავალი

სიღარიბით მოცული შინამეურნეობები ძირითადად ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

- შინამეურნეობები, რომლებიც თავად გერ დააღწევენ თავს სიღარიბეს, აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსების არარსებობის გამო. ასეთები ძირითადად მარტოხელა პენსიონერებისა და არაშრომისუნარიანი ასაკის წევრებისგან შემდგარი თჯახებია. სიღარიბის ზღვრამდე მათ ამოსაყვანად ერთადერთი გზა ტრანსფერტებია.
- შინამეურნეობები, რომელთაც შეუძლიათ თავად დააღწიონ თავი სიღარიბეს. მათ აქვთ შესაბამისი ადამიანური რესურსები. ასეთები ძირითადად უმუშევარი ან დაბალანაზღაურებადი მომუშავე წევრებისგან შემდგარი შინამეურნეობებია. ამ შემთხვევაში, ყველაზე ეფექტიანი გზა ახალი სამუშაო ადგილების შექმნაა.

სიღარიბეზე მოქმედი ფაქტორები ძირითადად ორი ტიპისაა:

**სანმოკლე მოქმედების ფაქტორები**, რომლებიც წარმავალია და ისინი მხოლოდ გარკვეული პერიოდის მანძილზე მოქმედებენ (მაგ., სხვადასხვა ტიპის შოკები, სანმოკლე უმუშევრობა და ა.შ.).

**სანგრძლივი მოქმედების ფაქტორები**, რომელთა მოქმედება დროის მნიშვნელოვან მანძილზე გრძელდება, ან შესაძლოა მათი მოქმედება მომავალში გამოვლინდეს. ასეთი ფაქტორებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განათლებაზე

ხელმისაწვდომობაა. ასეთივე ტიპის ფაქტორად შეიძლება მოვიაზროთ ხანგრძლივი უმუშევრობაც, რაც დაკავშირებულია პროფესიული ჩვევების დაკარგვასთან.

დაუცველობას, სიღარიბეს და სხვა სოციალურ მახასიათებლებს შორის კორელაცია იძლევა დაუცველთა და მაღალი რისკის სპეციალური ჯგუფების განსაზღვრის შესაძლებლობას. მარტოხელა პენსიონერები სიღარიბის მიერ მოწყვლადობის მიხედვით ერთ-ერთ ყველაზე მაღალი რისკის ჯგუფს განეკუთვნებიან, რაც სოციალური დაცვის სისტემის მოშლაზე მიუთითებს. უკიდურესი სიღარიბის დონე ამ ჯგუფში საშუალოზე რამდენადმე მაღალია – 24%-მდე. სიღარიბის დონე სტაბილურად ყველაზე მაღალია ერთსულიან ოჯახებში, სადაც თითქმის 70% საპენსიო ასაკის წევრი წარმოადგენს. საგულისხმოა, რომ მარტოხელა პენსიონერების შემოსავლის სტრუქტურაში სახელმწიფო ტრანსფერტები პენსიების ან დახმარებების სახით მხოლოდ 13.5%-ს შეადგენს, ხოლო კერძო ტრანსფერტები – 11.9%-ს. სიღარიბის დონე ამ ჯგუფში ქალაქში თითქმის ორჯერ მეტია სოფლად ანალოგიურ მაჩვენებელზე.

სხვაზე დამოკიდებულების როლი მნიშვნელოვანია - სიღარიბის რისკი სწრაფად მატულობს იმ შინამეურნეობებისთვის, რომლებშიც სამი და მეტი ბავშვია. სიღარიბის მატება მრავალშვილიან ოჯახებს შორის განსაკუთრებით გამოკვეთილია მაშინ, როდესაც შინამეურნეობაში ერთი მარჩენალია. ეს ნაწილობრივ რეალური შემოსავლების შემცირებით აიხსნება, ხოლო ნაწილობრივ – ბავშვების დამცავი ტრადიციული ტრანსფერტების სისტემის თანდათანობითი რდგევით. დღეისთვის ყველაზე დარიბი ასაკობრივი ჯგუფების სიის სათავეში სკოლის ასაკის ბავშვები მოექცნენ.

შრომის ბაზარზე ინტეგრაციის თვალსაზრისით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ იძულებით გადაადგილებული პირები. ინდივიდუალურად ჩასახლებულ პირთა შორის უმუშევრობა ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ადგილობრივ მოსახლეობაში, ხოლო კოლექტიურად ჩასახლებულ გადაადგილებულ პირთა შორის იგი სამჯერ უფრო მაღალია. იძულებით გადაადგილებულ პირთა დაახლოებით 20% აცხადებს, რომ ისინი მთლიანად მოწყვეტილნი არიან განსახლების ადგილას მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისგან. მათ არ გააჩნიათ ინფორმაცია სამუშაო ადგილების შესახებ და არც სამსახურის შოვნისთვის აუცილებელი კავშირები. სამუშაო ადგილები, რომლებიც მათთვის მისაწვდომია, დაბალანაზღაურებადი და არასაიმედოა.

## სოციალური უსაფრთხოება

საქართველოში არსებული სოციალური პრობლემები, და მათ შორის სიღარიბე, საერთო სოციალური მდგომარეობა და ცხოვრების დონე, მნიშვნელოვნად განისაზღვრება ქვეყანაში მოქმედი სოციალური სამსახურების ფუნქციონირების ეფექტიანობით. სისტემის უდიდესი პრობლემაა სახსრების ნაკლებობა. განათლებისა და სოციალური დაცვის (პენსიები და სოციალური

დახმარება) საზოგადოებრივი ხარჯები შეადგენს ქვეყნის ბიუჯეტის ერთ მესამედს, რაც მოსახლეობის ერთ

სულ ზე საშუალოდ 90 ლარია წელიწადში.

სოციალური დაცვის სისტემა ვერ უზრუნველყოფს სოციალური რისკების ადეკვატურ მართვას, რაც პრობლემის ერთი მხარეა. სოციალურ გადასახადება და სარგებელს შორის დისბალანსი ახშობს მოტივაციას და უბიძგებს სამუშაო ძალას (დაქირავებელსაც და დაქირავებულსაც), ანგარიშსწორება მოახდინონ ექსტრალეგალურ სექტორში, რაც უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკურ განვითარებაზე და საფუძველს აცლის სოციალური უსაფრთხოების საიმედო სისტემის შექმნას.

სოციალური დაცვის სისტემაში იკვეთება სამი ძირითადი პრობლემა: а) საგადასახადო ბაზის სიმცირე, გამოწვეული, ერთი მხრივ, შრომის დაბალი ანაზღაურებით და, მეორე მხრივ, ფორმალურ სექტორში დასაქმებულთა სიმცირით; б) დემოგრაფიული ცვლილებები - მოსახლეობის დაბერება; გ) სოციალური ტრანსფერტების არასრულყოფილი მისამართულობა.

უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს სოციალური დაცვის დაბალი უფექტი. სახელმწიფო სოციალური ტრანსფერტების ჯამური წილი (პენსია, სტიპენდიები, დახმარებები) ერთი შინამეურნეობის საერთო შემოსავალში 2002 წელს 3,8%-ს შეადგენდა, მათზე უფრო დიდი წილი კი კერძო (ახლობლებისგან მიღებულ) ფულად ტრანსფერტებს უკავია - მათი წილი 2002 წლის მონაცემებით 10%-ია. გარდა ამისა, დარიბ შინამეურნეობებში შემომავალი სასურსათო ნაკადის დაახლოებით 10% კერძო წყაროებიდან მიღებულ უფასო სურსათს უჭირავს. ანუ, არასახელმწიფო, არაფორმალური სოციალური დაცვის ქსელის როლი მეტად მნიშვნელოვანია. დარიბთა 60% არ იღებს კერძო დახმარებებს, ხოლო კერძო დახმარებების 85%-ს არადარიბები დებულობენ. სავარაუდოა, რომ ის ოჯახები, რომლებიც კერძო დახმარებას იღებენ, სწორედ მისი მეშვეობით გადადიან არადარიბთა კატეგორიაში.

2002 წელს სოციალური გადასახადების ბაზაშ შეადგინა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 7%-მდე. სახელმწიფო სოციალური დახმარებების სისტემა კატეგორიებად დაყოფას უფრონება, ანუ დახმარებები ეძლევა ინდივიდებს არა მატერიალური მდგრადირების - საჭიროების შეფასების საფუძველზე, არამედ გარდა კულტურული კულტივის (კატეგორიის) კუთვნილებიდან გამომდინარე (უსინათლოები, იძულებით გადაადგილებული პირები და სხვ.). შედეგად, გარდა აბსოლუტური სიმცირისა, ძალზედ დაბალია დახმარებების მისამართულობა. 2002 წლის მონაცემებით, სახელმწიფო სოციალური დახმარებებით შესაძლებელი იყო სიღარიბის სიღრმის მხოლოდ 3,6%-ით შემცირება.

სოციალური გადასახადები (სოციალური ანარიცხები) 2003 წლისთვის მთლიანი შიდა პროდუქტის 2,7%-ია, რაც საპენსიო სისტემაში კრიზისის მნიშვნელოვანი მიზეზია. ამის შედეგად საპენსიო დაგალიანება გაიზარდა. საპენსიო დაგალიანებებმა 2003 წლისთვის შეადგინა 116 მლნ ლარი, რაც

დაახლოებით 6 თვის გაუცემელი პენსიების ტოლია. 2003 წლისთვის ქვეყანაში იყო 854,000 პენსიონერი (სოციალური და სადაზღვევო პენსიის მიმღები). ამას ემატება ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერები – 12,000 და რეგრესიული პენსიონერები – 1200. მთლიანობაში პენსიონერთა რაოდენობა შეადგენს 879,200 ადამიანს, რაც მოსახლეობის ოფიციალური რაოდენობის 19.5%-ია. მინიმალური პენსია ძალიან მცირე, 14 ლარია. 1996 წელს საშუალო პენსიის ოდენობა შემოსავალთან ერთ სულზე 12% იყო. ეს მაჩვენებელი შემდგომში კიდევ უფრო შემცირდა და 8-9%-ს შეადგენს. დღეს არსებულ “სოლიდარულ” პრინციპზე აგებული საპენსიო სისტემის ფარგლებში პენსიების დაფინანსებას ართულებს დემოგრაფიული სპეციფიკაც: ასაკობრივი სტრუქტურით

საქართველო „ხანდაზმული“ ქვეყანა შემოსავლის ანალოგიური დონის მქონე ქვეყნებთან შედარებით. ბოლო ათწლეულის განმავლობაში საპენსიო შენატანის გადამხდელთა რიცხვი ორჯერ და მეტად შემცირდა. ამიტომ საპენსიო სისტემის უზრუნველყოფის კოეფიციენტი (დასაქმებულთა შეფარდება პენსიონერებთან) 1990 წლის შესაბამისი 2.8 დან დღეისთვის 0.8-მდე დაკაცა.

### სიღარიბე და საერთაშორისო თანამეგობრობა

ქვეყნის შიგნით მიმდინარე სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენები მჭიდროდ არის დაკავშირებული მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე პროცესებთან. დღევანდელობის უმნიშვნელოვანები სიღრმისეული პროცესი მსოფლიო მასშტაბით არის გლობალიზაცია, რაც გულისხმობს მსოფლიოში, საინფორმაციო (ციფრული) ტექნოლოგიების და ეკონომიკური ურთიერთობების რევოლუციური განვითარების შედეგად, უნივერსალური დირექტულებების დანერგვას, ერთიანი მსოფლიო საინფორმაციო სიგრცის შექმნას, შიდა ბაზრების გახსნას და გლობალური მასშტაბის მიგრაციული, სასაქონლო და საინფორმაციო ნაკადების წარმოქმნას. გლობალიზაციას დიდი პოტენციალი აქვს ქვეყნის თუ რეგიონის დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, მაგრამ როგორც ყველა მძლავრ პროცესს, მას თან ახლავს გარკვეული რისკებიც, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია. აქედან გამომდინარე, საქართველოს უნდა ჰქონდეს გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესებში მონაწილეობის გამოკვეთილი სტრატეგია და ტაქტიკა, რომელიც მიმართული იქნება როგორც განვითარებისკენ, ასევე ეროვნული დირექტულებებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისკენ.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველომ მნიშვნელოვანი საერთაშორისო დახმარება მიიღო, თუმცა საჭიროა მიღებული დახმარების უფრო ეფექტიანი გამოყენება როგორც დონორთა შორის, ასევე დონორებსა და საქართველოს მთავრობას შორის კოორდინაციის გაუმჯობესების ხარჯზე. მნიშვნელოვანია სამომავლოდ ადგილობრივი ექსპერტების შესაძლებლობების უფრო მეტად გამოყენება და მათი მოსაზრებების გათვალისწინება.

სიღარიბის დაძლევის საერთაშორისო გამოცდილება მეტად დიდი რესურსია, რომელიც დღეს ადვილად ხელმისაწვდომია როგორც სახელმწიფო მოხელეების, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მოქალაქეებისთვის. მნიშვნელოვანია,

რომ წარმატებულ გამოცდილებასთან ერთად, ხელმისაწვდომია მასალა წარუმატებელი სტრატეგიებისა თუ პროგრამების, სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებების ხარვეზებისა და შეცდომების შესახებ. წარმოუდგენელია ეკონომიკური განვითარებისა

და სიღარიბის დაძლევის ეფექტიანი პროგრამის შემუშავება და დანერგვა ამგვარი საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინების გარეშე.

აღსანიშნავია კრიმინალური საქმიანობისა და ქსელების მიერ გლობალური მასშტაბის შეძენა. ხდება ისეთი დანაშაულებრივი საქმიანობის გლობალიზაცია, როგორიც არის საერთაშორისო ტერორიზმი, ნარკოტიკებით, იარაღით და ადამიანებით ვაჭრობა, კონტრაბანდა. ღარიბები კრიმინალური გლობალიზაციის ორმაგი მსხვერპლი არიან: სწორედ ღარიბები ხდებიან “თრევიკინგის” მსხვერპლი, მათ განსაკუთრებით უჭირთ უსახსრობის გამო ნარკომანიისგან თავის დაღწევა, და ამავე დროს სწორედ ღარიბები არიან კრიმინალური ქსელების პოტენციური მონაწილენი და რიგითი ჯარისკაცები. სწორედ ისინი აღმოჩნდებიან ხოლმე “წარმატებული” ოპერაციის შედეგად სამართალდამცავი ორგანოების ხელში. ყველა ღარიბი და უმუშევარი მუდმივი არჩევანის წინაშეა: დარჩეს თავისი უღიმდამო ეკონომიკური სინამდვილის ანაბარა, თუ სწრაფი გამდიდრების იმედით დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაებას და ამით სიღარიბე სხვა სახის დაუცველობაზე გაცვალოს.

### ადამიანური კაპიტალი და სოციალური სამსახურები

სოციალური სამსახურების დაბალი ეფექტიანობა, ადამიანური კაპიტალის არაადეკვატური განვითარება საკვანძო პრობლემაა სიღარიბის დაძლევისთვის. დაუცველ და ღარიბ ფენებს განსაკუთრებულად უჭირთ ადამიანური კაპიტალის შენარჩუნება და განვითარება. ამ ფენების ადამიანური კაპიტალის ცვეთა იწვევს სიღარიბის გადრმავებას და ქრონიკული ხასიათის შეძენას.

დღევანდელი ფორმალური და არაფორმალური განათლების სისტემა ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის განვითარების მოთხოვნების შესაბამისი ცოდნის შეძენას. ეს ვლინდება შრომის ბაზარზე კვალიფიციური სამუშაო ძალის უკმარისობით (განათლების დაბალი ლიკვიდურობის პრობლემა).

გართულებულია მოსახლეობის დიდი ნაწილის სოციალური ადაპტაცია და სამოქალაქო ინტეგრაცია.

განათლების სისტემის განვითარების ტენდენცია არახელსაყრელ პირობებში აყენებს ღარიბებს, რაღაც ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა სულ უფრო დაკავშირებულია მნიშვნელოვან ფულად დანახარჯებთან. არ არსებობს ეფექტიანი სქემები, რომლებიც დაეხმარება ნიჭიერ ახალგაზრდებს მიიღონ უფასო განათლება და გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები.

მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა განპირობებულია:

- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დონისძიებების დაბალი ეფექტიანობით, განსაკუთრებით დარიბ ფენებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვისა და დაავადებების პრევენციის თვალსაზრისით;
- მოსახლეობის დიდი ნაწილი არ არის უზრუნველყოფილი უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოთი, რაც ზრდის დაუცველობას და ამძიმებს დარიბთა ჯანმრთელობის მდგომარეობას;
- პირველადი ჯანდაცვის სისტემის არაეფექტიანობით, რაც ამცირებს საბაზისო სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების დაბალი ხარისხი და ეფექტიანობა, რაც განპირობებულია სამედიცინო ბაზრის სუსტი რეგულირებით, სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი სამედიცინო დაწესებულებების მმართველობის სისუსტით, კერძო და საზოგადოებრივი სახსრების მობილიზებისა და ხარჯვის ადეკვატური მექანიზმების უკმარისობით.

სოციალური დაცვის სფეროს არაეფექტიანი ფუნქციონირება გრძელდება ინერციით. ეფექტიანი უნივერსალური სოციალური დახმარებისთვის არ არის საკმარისი საფინანსო რესურსები, ხოლო მიზნობრივი, მისამართული დახმარების ეფექტიანი მიწოდებისთვის ჩამოსაყალიბებელია ადეკვატური ორგანიზაციული ინფრასტრუქტურა და ალტერნატიული მექანიზმები. საპენსიო დავალიანების გადახდა დროულად ვერ ხორციელდება. პენსიები და სხვა სახის სოციალური დახმარება ნაკლებია

ვიდრე საარსებო მინიმუმი და სიღარიბის შემცირებაზე უმნიშვნელოდ მოქმედებს დროული მიწოდების შემთხვევაშიც კი.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან მარგინალური ჯგუფები. არსებული სოციალური დახმარების მექანიზმები არსებით გავლენას ვერ ახდენენ დაუცველთა ისეთი სპეციალური ჯგუფების ყოფით მდგომარეობაზე, როგორებიცაა ობლო და პრობლემური, აგრეთვე თავშესაფრებში მცხოვრები ბავშვები, მარტოხელა და თავშესაფრებში მცხოვრები მოხუცები და ინვალიდები, სტაციონარებში

მყოფი ფსიქიურად და სხვა ქრონიკული თუ უკურნებელი სენიორი დაავადებულნი; უკიდურესად დარიბთა და/ან დაუცველთა განსაკუთრებული ჯგუფები (უსახლკარონი, მათხოვრები, მედავები, ნარკომანები, პატიმრები).

**სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური განვითარების პროგრამის ფარგლებში საქართველოში სოციალურ სფეროში გასატარებელი დონისძიებების ზოგადი მიდგომები**

2005 წელს საქართველოში დაიწყო “სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკის განვითარების პროგრამის” განხორციელება, რომლის ფარგლებში სოციალურ სფეროში გასატარებელი დონისძიებები პირობითად ორ ჯგუფად დაიყო, რომელთაგან თითოეული ეფუძნება სპეციფიკურ მიდგომებს, ემსახურება ქონქრეტული ამოცანების მიღწევას და იმავდროულად ითვალისწინებს პროგრამის საერთო პრინციპებს. ესენია:

- ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე, აგრეთვე სამუშაო ძალის მობილურობასა და კვლავწარმოების ღონის ამაღლებაზე;
- ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია მარგინალური ჯგუფების ყოფის გაუმჯობესებაზე;
- ღონისძიებები, რომელიც მიმართულია ცხოვრების ხარისხის გავეთრი დაქვეითების პრევენციაზე.

ადამიანური კაპიტალის დაბალი დონე ადიარებულია როგორც სიდარიბეში ქრონიკულად დარჩენის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი. შესაბამისად, მდგრადი, სტაბილური და გრძელვადიანი განვითარების უმთავრესი გარანტი სწორედ ადამიანური კაპიტალის სათანადო დონის უზრუნველყოფა. ამავდროულად, ადამიანური კაპიტალის დაბალი დონე საფრთხეს უქმნის ეკონომიკური განვითარების მდგრადობას.

საქართველოში დღეს არსებული ადამიანური კაპიტალის განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მიუთითებს ერის ჯანმრთელობის, საბაზისო და პროფესიული განათლების ხარისხის დაბალი მაჩვენებლები. როგორც სახელმწიფოს, ასევე შინამეურნეობების მიერ ადამიანურ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციები მცირება. სათანადო ზომების მიღების გარეშე მოსალოდნელია ადამიანური კაპიტალის დონის კიდევ უფრო შემცირება. ამდენად, ადამიანური კაპიტალის განვითარებამ განსაკუთრებული ადგილი პპოვა პროგრამის პრიორიტეტებში, როგორც ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის შემცირების მდგრადობის აუცილებელმა პირობამ.

პროგრამის ფარგლებში ადამიანური კაპიტალის განვითარებასთან დაკავშირებულ მოკლევადიან ამოცანათა რიცხვს განეცუთვნება სამუშაო ძალის მობილურობისა და კვლავწარმოების გაუმჯობესება. სამუშაო ძალის მობილურობა წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ პირობას აუცილებელი რესურსის ხელმისაწვდომობის გაზრდისა და ტრანზაქციული ხარჯების შემცირების გზით. შრომის ბაზარზე

კვალიფიციური რესურსების მიწოდების და დანაკარგების აღდგენის გარეშე შეფერხდება მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის საჭირო შრომითი რესურსებით უზრუნველყოფა. იგი ასევე უკავშირდება შინამეურნეობების შემოსავლების მატებას შრომის მწარმოებლურობისა და შრომითი შემოსავლების გაზრდის ხარჯზე.

მარგინალური ჯგუფების ყოფის გაუმჯობესება სოციალური სფეროს მეორე პრიორიტეტული ამოცანაა. დღეს სიღარიბის ზღვარს ქემოთ მყოფი შინამეურნეობების ერთ ნაწილს არ გააჩნია ეკონომიკური საქმიანობის პოტენციალი, ანუ მათი კეთილდღეობა ვერ ამაღლდება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ფონზე, თუ სახელმწიფო და საზოგადოება სპეციალურ ზომებს არ მიმართავს მათ დასახმარებლად, ე.ო. თუ არ იარსებებს საზოგადოების მიერ რესურსების (დოკუმენტის) გადანაწილების ეფექტისანი მექანიზმი.

მესამე პრიორიტეტული ამოცანაა დაუცველობის შემცირება, რისთვისაც სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს სოციალური რისკების მენეჯმენტის ყველა შესაძლო ადეკვატური მექანიზმის ამოქმედებას საზოგადოებაში ისეთ ინსტიტუტებზე დაყრდნობით როგორიცაა ბაზარი, ერთობაზე დაფუძნებული ორგანიზაციები და ოჯახი.

დასაქმების სფეროში ეროვნული პოლიტიკა დაუფუძნება შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- დასაქმების ეკონომიკისა და სოციალურ სფეროში შეთანხმებული პოლიტიკის წარმოება;
- ეკონომიკური აქტივობის, სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირება;
- ადამიანური პოტენციალის განვითარების სტიმულირება;
- სოციალური დიალოგის ჩამოყალიბება;
- შრომის ბაზრის ეფექტურიზაციის გაზრდა;
- შრომის ბაზრის ინსტიტუტების განვითარება.

შრომის ბაზარზე წარმოებული პოლიტიკის ძირითადი მიღება იქნება:

- შრომის ბაზარზე დასაქმების აქტიური პოლიტიკის გატარება;
- შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე პროფესიული სწავლების გაფართოება;
- საწყის ეტაპზე თვითდასაქმების სტიმულირება;
- დასაქმების პოლიტიკის გააქტიურება ახალგაზრდებისა და დაბალკონკურენტუნარიანი შრომითი რესურსების მიმართ.

## ბენეფიციართა ჩართულობა პროექტების განხორციელებაში

სხვადასხვა პროექტების განხორციელების პრაქტიკა აჩვენებს, რომ მიუხედავად მათზე დახარჯული თანხებისა, მათი განხორციელების შედეგად არ მოხდა სიღარიბის აღმოფხვრა. ისეთი პროგრამების განხორციელებამაც კი, როგორიცაა იაფი კრედიტების პროგრამები, ან დასაქმების პროგრამები, ვერ მოიტანა მდგრადი შედეგები. ყველა ასეთ შემთხვევაში ეკონომიკური განვითარება არაეფექტურად არის შეთანხმებული ობიექტურობასა და სამართლიანობასთან. ბევრ შემთხვევაში კი პროგრამა მხოლოდ დახმარების განაწილებას გულისხმობდა და არა განვითარებას.

საერთაშორისო, სამთავრობო და არასამთავრობო სამსახურებმა გააცნობიერეს, რომ არაეფექტური განვითარების პროგრამების მთავარი მიზანი არის მათში ბენეფიციარების აქტიური, ეფექტური და ხანგრძლივი მონაწილეობის არარსებობა. შესაბამისად, ბევრმა ორგანიზაციამ დაიწყო ხალხის ჩართვა პროექტებში, განსაკუთრებით კი გაჭირვებული ჯგუფების, რომელთათვისაც ეს პროექტები იყო გათვალისწინებული.

განვიხილოთ პროექტებში ბენეფიციარების ჩართულობის რამდენიმე ასპექტი.

პირველ რიგში, არსებობს მონაწილეობის რამდენიმენაირი განსაზღვრება. მაგალითად, ეს ნიშნავს ჩავნერგოთ ადამიანებში პასუხისმგებლობის გრძნობა განვითარების პროექტების მიმართ, რათა ხელი შევუწყოთ მათში ინიციატივის და საკუთარი თავის პატრონობის გრძნობის ჩამოყალიბებას; აგრეთვე მონაწილეობად შეიძლება განვიხილოთ ადამიანების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ასევე, მონაწილეობად შეიძლება მოვიაზროთ საინიციატივო ჯგუფის ჩამოყალიბება იმ ადამიანებისაგან, რომელიც მანამდე არ იყვნენ ამ პროცესებში ჩართულნი და რომელთაც ახლა მიეცემათ რესურსების გაკონტროლების საშუალება, აგრეთვე მათვის ხელმისაწვდომი გახდება სერვისები. მონაწილეობაა, როცა ადამიანები ჩართულნი არიან განვითარების ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში. ამასთან ერთად, პროექტების სარგებელი ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. უფრო ზოგადად რომ განვმარტოთ, “მონაწილეობა არის ადამიანთა მნიშვნელოვანი რაოდენობის ჩართვა სიტუაციებსა და ღონისძიებებში, რაც გამოიწვევს მათი ყოფიერების ისეთი ასპექტების გაუმჯობესებას, როგორიცაა შემოსავალი, უსაფრთხოება ან თვითდაჯერებულობა” (უფოვი, 1979).

განვითარების პროექტებში გამოიყენება მონაწილეობის მეთოდების უფრო დიდი არჩევანი რათა მათში ადამიანების მონაწილეობა უზრუნველყოფილი იყოს. განვიხილოთ ასეთი მეთოდების რამდენიმე მაგალითი:

1. გაზრდილი მონაწილეობა: პროექტის სტრატეგია, დიაზაინი და სამუშაო გვგმა წინასწარაა განსაზღვრული და ბენეფიციარებს სთავაზობენ ჩაერთონ პროექტის ღონისძიებებში და მიიღონ მისგან განსაზღვრული სარგებელი. სხვადასხვა პროექტებში ბენეფიციარების მონაწილეობა შეიძლება იყოს შრომითი წვლილის ან სხვა სახის რესურსის სახით.

2. მობილიზაცია თემის განვითარებისათვის. ადამიანები მონაწილოებები გარკვეულ დროებით სამუშაოებში, რაც ძირითადად ემსახურება მათი თემის განვითარებას, მაგრამ არ არსებობს რაიმე ინსტიტუციონალური საფუძველი ან სტრუქტურა (მაგ. არ ყალიბდება რაიმე ჯგუფი ან ორგანიზაცია), რაც ხელს უშლის მონაწილეობის ეფექტურობას.

3. ჯგუფების ფორმირება. პროექტს აქვს სპეციფიური ამოცანები, რომელიც მიმართულია ბენეფიციართა ჯგუფების ჩამოყალიბებისაკენ. ამის შედეგად მოცემული ჯგუფისათვის ხელმისაწვდომი ხდება რესურსები და გარდა ამისა ისინი სრულად არიან ჩართულნი პროექტის განხორციელებაში. ამ პროცესებში მათ გადაწყვეტილების მიღებისა და ინიციატივის გამოჩენის საშუალებაც ეძლევათ. ეს პროცესი მნიშვნელოვანია იმით, რომ მისი საშუალებით ხდება გაჭირვებული თემების გაძლიერება და მდგრადი განვითარება.

თვით-განვითარება და საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნება არის მონაწილეობის შედეგი. ამ ტერმინის ვიწრო გაგებით საჭიროების მქონე ადამიები მხოლოდ მონაწილეობას იღებენ სხვათა მიერ დაგეგმილ, შექმნილ თავიდან-ფუძისკენ ტიპის პროექტებში. ხოლო, ფართო გაგებით კი, გარდა პროექტის ღონისძიებებში მონაწილეობისა, მათ საშუალება აქვთ შეცვალონ საჭიროების მიხედვით არსებული პროექტები და სისტემები.

დღესდღეობით აღიარებულია, რომ პროექტის ეფექტურობისათვის აუცილებელია მასში ბენეფიციართა მონაწილეობა და ჩართულობა უზრუნველყოფილი იყოს. ამის მიუხედავად, ძალზე ცოტაა ისეთი პროექტი, სადაც ეს რეალურადაა წარმოდგენილი. ფაქტობრივად, განვითარების პროექტები შეიძლება ორ კატეგორიად დაიყოს მასში ბენეფიციარების მონაწილეობის მიხედვით.

**1. პირობითი პროექტები.** ამ სახის პროექტებში არსებობს ისეთი ამოცანები და კომპონენტები, რომელთაც ხელი უნდა შეუწყონ ძირითადი ღონისძიებების პროდუქტიულობას. ასეთი კომპონენტებია ტრეინინგები, კრედიტები, და ა.შ. პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია ბენეფიციარების ჩართვა ასეთ კომპონენტებში, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროექტის ამოცანების განხორციელება.

ამ კატეგორიის პროექტებს აქვთ წინასწარ შედგენილი ჩარჩო (ამოცანები, სამოქმედო გეგმა, შედეგები, მონაწილეობა და დროსი გაწერილი განრიგი), რომელიც “თავიდან ბოლოსკენ” პრინციპითაა შედგენილი. ამ პროექტების უმრავლესობა მიმართულია გარკვეულ ადგილას მცხოვრები ყველა ადამიანისათვის, რომელთაც ადრე არ მიუღიათ რაიმე მსგავსი სერვისი. ეს პროექტები უფრო ფოკუსირებულია მაკრო-ეკონომიკურ ასპექტებზე, ვიდრე სოციალურზე და გაჭირვებული ადამიანების დახმარებაზე და ამიტომაც მათ შედეგად ხშირად ადგილობრივი მაცხოვრებლები რეალურ დახმარებას ვერ იღებენ.

**2. მონაწილეობითი პროექტები.** ასეთი პროექტები ნამდვილად ხელს უწყობენ მონაწილეობას, რაც კარგად არის ასახული მათ ამოცანებსა და მეთოდოლოგიაში.

განსხვავება ამ ორი სახის პროექტებს შორის ისაა, რომ პრაქტიკაში მონაწილეობა მოიაზრება როგორც საშუალება ან როგორც შედეგი, ზოგჯერ კი როგორც ორივე.

პირობით პროექტებში, რომელიც ძირითადად პროდუქტის შექმნაზეა ორიენტირებული, მონაწილეობა არის პროდუქტიულობის გაზრდის საშუალება.

ზოგიერთ ნაკლებად პირობით პროექტში წარმოდგენილია ნაწილობრივი მონაწილეობა. მაგ: გაჭირვებულ ადამიანებს შეიძლება ჩაუტარონ კონსულტაციები თავიანთი საჭიროებების, რესურსების და პოტენციალის შესახებ. ძირითადად, მათი მონაწილეობა მოიაზრება პროექტში მხოლოდ გარკვეულ დონეზე სარგებლის მიღებით. ასეთი ნაწილობრივი მონაწილეობა ძალზე სასარგებლოა და ამან თავიდან შეიძლება აგვაცილოს პროექტის მარცხი და მომავალში ნამდვილი მონაწილეობა უზრუნველყოს.

ჭეშმარიტად მონაწილეობით პროექტებში. მონაწილობა საშუალების გარდა როგორც შედეგიც მოიაზრება. ეს ჩადებულია პროექტის ამოცანებში, რომელიც ასევე მოიაზრებს ამოცანებს პროდუქტიულობის შესახებ. ფაქტობრივად, ასეთ პროექტებს აქვთ ორი “ფეხი”: მონაწილეობა და პროდუქტიულოდა და პრაქტიკა აჩვენებს, რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე ასეთი პროექტები უკეთესად მიიჩვენ წინ.

როგორ არის მონაწილეობა, როგორც შედეგი, ასახული პროექტის ამოცანებში? ყველაზე გავრცელებული პროექტის ამოცანები არის შემდეგი: ოჯახის შემოსავლის გაზრდა და ცხოვრების დონის გაუმჯობესება. ამის მისაღწევად ბენეფიციარების მონაწილეობის უზრუნველყოფისათვის პროექტი ძირითადად შემდეგ ელემენტებს მოიაზრებს:

1. დაეხმარონ ბენეფიციარებს განსაზღვრონ, დაგეგმონ და განახორციელონ დასაქმების და შემოსავლის მომტანი ღონისძიებები;
2. დაეხმარონ ბენეფიციარებს ჩამოყალიბდნენ ფუნქციონირებად ჯგუფებად, რათა მათთვის ხელმისაწვდომი გახდეს ტრეინინგები, კრედიტები, განათლება, ჯანდაცვა და ასევე შესძლონ თავიანთი ეკონომიკური და სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილება და გახდნენ თავიანთ თავზე დამოკიდებულები.
3. დაეხმარონ სხვადასხვა სამსახურებს (ბანკები, არასამთავრობო ორგანიზაციები) გარდაქმნან თავიანთი სტრუქტურა და მუშაობა ისე, რომ მათი სერვისები უფრო ეფექტური და ხელმისაწვდომი გახდეს გაჭირვებული ადამიანებისათვის.
4. განავითარონ პროექტის წარმატებული ასპექტების დანერგვის სტრატეგიები.

მონაწილეობითი განვითარების პროექტებში ყველაზე უფრო გავრცელებული საგულისხმო ელემენტებია:

1. ორიენტირება პროცესზე და არა პროექტზე. პირობითი პროექტები ხშირად დეტალურადად დაგეგმილი. მათში დროის ძალზე მოკლე მონაკვეთში მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა მოიაზრება. მოანწილეობითი პროექტებით შესაძლოა ამ პრობლემის გადაჭრა პროექტზე ორიენტირების ნაცვლად პროცესზე ორიენტირებით. პროექტი უნდა იყოს უფრო მოქნილი და ისეთი, რომ შესაძლებელი იყოს მისი გაგრძელება და გამოირება მსგავს ადგილებში მინიმალური გარე დახმარებისა და დანახარჯების გამოყენებით.

2. სამიზნე ჯგუფი ბენეფიციარების შემადგენლობით აუცილებლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული. თუმცა ასევე კარგია თუკი ის ადამიანები, რომელნიც უფრო უზრუნველყოფილნი არიან, ვიდრე ბენეფიციარები და არ წარმოადგენენ პროექტის სარგებლის მიმღებებს, ასევე ხელისუფლების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ჩართულნი იქნებიან პროექტის აქტივობებში, რათა უზრუნველყოფილი იყოს სერვისების მიწოდების ხარისხის გაუმჯობესება. ამის მიზანი ისიცაა, რომ სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები ერთმანეთს გაეცნონ.

3. განათლება მონაწილეობისათვის – ეს ხორციელდება ტრეინინგების საშუალებით. ამ ტრეინინგების მიზანია სამიზნე ჯგუფისთვის ცნობიერების ამაღლება, რომლის შედეგადაც ბენეფიციარებს გაუზიდებათ სოციალური და ეკონომიკური სიტუაციის ანალიზის უნარი. ასევე მათ შეეძლებათ გააანალიზონ თავისი პრობლემების და გაჭირვების მიზეზები და საკუთარი შესაძლებლობები. მონაწილეობითი განათლება ავითარებს ბენეფიციართა უნარებს, რათა მათ შეძლონ პროექტის განხორციელებაში აქტიური და ეფექტური მონაწილეობის მიღება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ მათი შეძენილი უნარ-ჩვევები პროექტის დამთავრების შემდეგაც გამოიყენონ სხვა პრობლემების გადაჭრისათვის.

**4. სამიზნე ჯგუფის სტრუქტურირება** გულისხმობს არსებული ჯგუფებისა და ორგანიზაციების განვითარებას და გაძლიერებას და ახალი ჯგუფების თვითჩამოყალიბების ხელშეწყობას. არსებული ჯგუფები შეიძლება იყოს ტრადიციული ასოციაციები, კოოპერატივები და კავშირები. ამ ჯგუფებმა მოგვიანებით უნდა მოახდინონ ბენეფიციარების მდგრადი ჩართულობის საფუძვლის მომზადება და ასევე შეასრულონ მიმღები სისტემის როლი, რომელთა საშუალებითაც ბენეფიციარებმა საკუთარი რესურსების მობილიზება უნდა მოახდინონ, ასევე მიიღონ არსებული სერვისები.

**5. რესურსების მობილიზება** ჯგუფის წევრების მიერ. ეს ეხება როგორც მატერიალურ, ასევე შრომით და ინტელექტუალურ რესურსებს.

**6. კონომიკური და სოციალური აქტივობები.** ჯგუფებმა უნდა განახორციელონ სხვადასხვა სოციალური და ეკონომიკური აქტივობები, დაწყებული პატარა, მცირე-რისკიანი, კარგად ნაცნობი შემოსავლის მომცემი დონისძიებებიდან და გადავიდნენ უფრო დიდი, რთული დონისძიებების ორგანიზებასა და შესრულებაზე.

**7. ჯგუფების მოტივაციონების** ჩართვა სამიზნე ჯგუფებში. მათი როლი იქნება შემდეგი: (1) დაეხმარონ ჯგუფის წევრებს ეკონომიკური დონისძიებების ორგანიზებაში და სერვისებისა და რესურსების მიღებაში. (2) დაეხმარონ სამიზნე ჯგუფის წევრებს ადგევატური განათლების მიღებაში მონაწილეობის შესახებ; ეს როლები შეუძლიათ კარგად შეასრულონ სპეციფიურმა მოტივაციონებმა, მობილიზაციონებმა ან მსგავსმა ადამიანებმა, რომელიც პირდაპირ იმუშავებენ ბენეფიციარებთან რათა გააძლიერონ მათი მონაწილეობა პროექტებში.

**8. თვით-განვითარების და დამოუკიდებლობის განვითარება** ბენეფიციართა ჯგუფებში. პროექტის განხორციელების მანძილზე ისეთი ურთიერთობა უნდა ჩამოყალიბდეს ხელისუფლებას, არასამთავრობო ორგანიზაციას, პროექტის თანამშრომლებსა და ბენეფიციარებს შორის, რომ ბენეფიციართა დამოკიდებულება პროექტზე თანდათან შემცირდეს. პროექტის თანამშრომლები უნდა დაეხმარონ ბენეფიციარებს გამოიჩინონ ინიციატივა და თვითონ განსაზღვრონ საკუთარი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. დამოუკიდებელი ჯგუფების წარმოქმნა მონაწილეობითი პროექტის წარმატების მთავარი ინდიკატორია.

**9. საკოორდინაციო და თანმშრომლობითი მექანიზმების განვითარება.** ეს საშუალებას მისცემს ბენეფიციარებს მონაწილეობა მიიღონ პროექტის რაც შეიძლება მეტ აქტივობებში. მოგვიანებით მათ საჭიროებების და რესურსების განსაზღვრაში, პროექტის ამოცანების შემუშავებაში, დაგეგმვასა და განხორციელებაში, პროექტის განხორციელების მონიტორინგსა და შეფასებაშიც უნდა მიიღონ მონაწილეობა.

ყველა ზემოთჩამოთვლილი ელემენტი ძალზე მნიშვნელოვანია სრული მონაწილეობის მისაღწევად, თუმცა ყოველი მათგანის არსებობა არ არის აუცილებელი როცა საჭმე ეხება ნაწილობრივ, არასრულ ჩართულობას და მონაწილეობას.

## რატომ მონაწილეობა?

მონაწილეობა და ჩართულობა მნიშვნელოვანია შემდეგი მიზეზების გამო:

1. როცა პროექტი არის მონაწილეობითი, მაშინ იგი ხელმისაწვდომი ხდება ბენეფიციარების მაქსიმალური რაოდენობისათვის.

2. კონომიურობა. როცა პროექტი მონაწილეობითია, ბენეფიციარებს მასში შეაქვთ წვლილი მატერიალური, შრომითი და ინტელექტუალური რესურსების სახით, რაც პროექტს ხდის კონომიურს.

3. კულტურობა. პროექტში ჩართული ადამიანები იძენენ პრობლემების და რესურსების განსაზღვრის, პროექტის დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების უნარ-ჩვევებს, რაც შეიძლება გამოიყენონ მოგვიანებით სხვა პროექტებში. ასევე, მათ შეუძლიათ თავიანთი სპეციფიური ცოდნა მოახმარონ არსებულ პროექტს.

4. სიახლეების დანერგვა. ბენეფიციარებს შორის ფართო გამოხმაურება შეიძლება პპოვოს ახალი მეთოდის, სერვისის, ტექნოლოგიების დანერგვამ.

5. პროდუქტიულობა. მაღალი პროდუქტიულობა იქნება უზრუნველყოფილი თუკი პროექტის სარგებელი ობიექტურად განაწილდება. ამის უზრუნველყოფა კი ბენეფიციარების მონაწილეობით ადვილია.

6. წარმატებული შედეგები. ჩართულობა უზრუნველყოფს პროექტის მდგრადობას, რადგან ასეთი პროექტი ორიენტირებულია დეცენტრალიზაციაზე. მასში გადაწყვეტილების მიღება დამოკრატიული პრინციპებით ხდება, რაც უზრუნველყოფს წარმატებული შედეგების მიღებას.

7. დამოუკიდებლობა. მონაწილეობითი პროექტების შედეგად ბენეფიციარებს უნდებათ საკუთარი თავის რწმენა და დამოუკიდებლობის გრძნობა. ისინი რწმუნდებიან რომ თვითონაც შეუძლიათ საკუთარი პრობლემების განსაზღვრა და მოგვარება.

## მონაწილეობის ხელისშემშლელი ფაქტორები

1) პოლიტიკური პირობები. პოლიტიკური სურათი შეიძლება იცვლებოდეს აბსოლუტურად დეცენტრალიზებული, თავისუფალი ეკონომიკური პირობებიდან ცენტრალიზებული, მტკიცედ დაგეგმილ და გაკონტროლებულამდე. ასევე, განსახვავებული შეიძლება იყოს სტაბილურობის ხარისხი. შესაბამისად, მონაწილეობისთვის პოლიტიკური სიტუაცია სხვადასხვა ხარისხით შეიძლება იყოს ხელისშემშლელი.

2) კანონმდებლობა. ზოგ ქვეყნებში ასოციაციების თავისუფლება ან არ არსებობს, ან ძალზე შეზღუდულია. შესაბამისად ეს ხელს უშლის მონაწილეობით პროექტებს.

3) ადმინისტრაციული ფაქტორები. ზოგჯერ ადმინისტრაციული სისტემა, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ცენტრალიზებულია და ამის გამო რეგიონებში მსგავსი პროექტების განხორციელება ძნელდება.

4) სოციალურ-კულტურული ფაქტორები. ბევრი ქვეყნის ტრადიცია და კულტურა ეწინააღმდეგება ქალების მონაწილეობას საზოგადოებრის საქმიანობაში.

ან შესაძლებელია ეს ეხებოდეს რასობრივ ფაქტორს. რა თქმა უნდა ამ შემთხვევებში ბენეფიციართა ჩართვა პროექტებში ვერ იქნება უზრუნველყოფილი.

გარდა ამისა, ჩართულობას ხელი შეიძლება თვით დონორებმაც შეუშალონ, რადგანაც ხშირად ისინი ითხოვენ შედეგების მოკლე დროში მიღწევას, რაც ხელს უშლის თემის ჩართულობისა და მონაწილეობის განხორციელებას.

ყველა ეს წინააღმდეგობა შეიძლება დროთა მანძილზე გადაილახოს. თუმცა პროექტების დაგეგმვისას მნიშვნელოვანია მხედველობაში იქნეს მიღებული ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები, რადგან მონაწილეობა და ჩართულობა განისაზღვრება ქვეყნის და პროექტის თავისებურებებით.

### სოციალური სექტორის რეფორმა გარდამავალ მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებში

გარდამავალ მდგომარეობაში მყოფმა ქვეყნებმა აუცილებლად უნდა განახორციელონ სოციალური სექტორის რეფორმა, რათა უზრუნველყონ საკუთარი მოქალაქეების სოციალური უსაფრთხოება და ხელი შეუწყონ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. ნაწილობრივად ეს ნიშანებს სოციალური უსაფრთხოების სამსახურების შექმნასა და გარდაქმნას და პრობლემების მოგვარებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა სოციალური და ზღვება, საბიუჯეტო უზრუნველყოფა, ჯანდაცვა და განათლება, სამუშაო აღილების ბაზარი, და გადასახადების ადმინისტრირება. ეს ასევე მოითხოვს ზოგიერთი სახის დახმარებების და შეღავათების შემცირებას.

გარდამავალმა პროცესებმა გამოიწვია ძირითადი ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები ცენტრალიზებული ეკონომიკის ქვეყნებში, ეს გამოიხატა სამუშაო ადგილებისა და შემოსავლების შემცირებაში, რამაც თავის მხრივ სოციალური უთანასწორობა გამოიწვია. სკოლაში მოსიარულე ბავშვების რიცხვი შემცირდა, ასევე შემცირდა ადამიანების სიცოცხლის საშუალო სანგრძლივობა. თუმცა ასეთი მოვლენების აღრიცხვა ძნელია და თან ისინი სხვადასხვა ქვეყნებისა და მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისათვის სხვადასხვა მაჩვენებლებით ხასიათდებიან, ეკონომიკური და სოციალური პირობების გამწვავება ბევრი ქვეყნისათვის ძალზე მძიმე იყო.

### **გარდამავალი მდგომარეობის პირველი წლები**

ძირითადი ქვეყნების უმეტესობისაგან განსხვავებით, გარდამავალ მდგომარეობაში მყოფ ქვეყნების სოციალური სექტორი მანამადე კარგად განვითარებული იყო. აქ მოქალაქეები უზრუნველყოფილი იყვნენ ისეთი სოციალური უსაფრთხოების დაზღვევით, როგორიც იყო განვითარებულ ქვეყნებში. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი რესურსები იყო სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ჯანდაცვისა და განთლების სისტემის განვითარებისათვის. მაგრამ გარდამავალი ქვეყნების ინსტიტუციონალური მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფდა მთლიანი

მოსახლეობის სოციალურ დაცვას “დაბადებიდან სიკვდილამდე”, შექმნილი იყო ძალზე განსხვავებული ეკონომიკური სისტემისათვის. არსებული სოციალური სექტორი შეუსაბამო იყო საბაზრო ეკონომიკის მექანიზმებისათვის, ასევე მან ვერ გაუძლო იმ ცვლილებებს, რაც ამ სისტემის საბაზრო სისტემაზე გადასვლამ გამოიწვია და ამ ყველაფერმა სოციალური სექტორის სამსახურებისა და პოლიტიკის რღვევა გამოიწვია.

პირველ რიგში, სოციალური მომსახურებისათვის გამოყოფილი თანხები შემცირდა ინფლაციის გამო. სოციალური დახმარების შესყიდვისუნარიანობა დამოკიდებული გახდა ინდექსაციის მექანიზმებზე ან საგანგებო პოლიტიკურ ცვლილებებზე, რის შედეგადაც სადაზღვევო და სოციალურმა პროგრამებმა ადამიანები სიღარიბისაგან ვეღარ დაიცვა. ფასების სწრაფმა ზრდამ გავლენა მოახდინა ჯანდაცვის და განათლების სისტემებზე. სამედიცინო მასალები და მედიკამენტები ყველასთვის ხელმისაწვდომი აღარ იყო.

გარდა ამისა, სოციალური დაზღვევის სისტემა აღარ გამოიყენებოდა იმ მიზნებისთვის, რისთვისაც თავიდან მათი შექმნა მოხდა. მაგალითად, ქვეყნებში წარმოქმნა უმუშევრობის პრობლემა, რომელიც გამოწვეული იყო ეკონომიკური აქტივობების შემცირებითა, პრივატიზაციით და საწარმოების რესტრუქტურიზაციით. ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით ხდებოდა ზეწოლა საპენსიო პროგრამებზე, რათა მათ უზრუნველყოთ ადრეულ ასაკში პენსიის გადახდა და შეერბილებინათ კრიტერიუმები უნარშეზღუდულობის პროგრამებისათვის. ამ ქვეყნებში ძალზე დაიწია პენსიაში გასვლის ასაკმა, შესაბამისად გაიზარდა პენსიონერთა რაოდენობა, აგრეთვე იმ მოქალაქეების რაოდენობა, რომელიც უნარშეზღუდულობის დახმარებებს იღებდნენ. ყველაფერმა ამან გამოიწვია საპენსიო ფონდებში ჩარიცხულ თანხასა და პენსიონერთა რაოდენობას შორის პროპორციის უხეში დარღვევა.

ასევე, მოსახლეობის დიდი ნაწილი შემცირებული ტარიფით იხდიდა ელექტროგიის, გაზის, ტელეფონის, საბინაო, კომუნალურ გადასახადებს, ასევე მათთვის უფრო იაფი იყო ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულება. რადგან არსებული თანხები არასაკმარისი იყო ამ სერვისებისათვის, მოხდა სერვისის მიმწოდებლების რაოდენობის შემცირება, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ბიუჯეტზე ზეწოლა და გარდა ამისა, არსებული სერვის სისტემების გადატვირთვა.

ასევე პრობლემები გაჩნდა ჯანდაცვისა და განათლების სექტორების დაფინანსებაში. ეცადნენ რა განთავისუფლებულიყვნებ ჯანდაცვისა და განთლების გაზრდილი თანხების გადახდისაგან, ცენტრალურმა ხელისუფლებამ მოახდინა საჯარო სკოლებისა და საავადმყოფოების დეცენტრალიზაცია და პასუხისმგებლობა მათზე გადასცა ადგილობრივ ხელისუფლებას. თუმცა ადგილობრივი ხელისუფლებაც არ აღმოჩნდა უკეთეს ფისკალურ მდგომარეობაში, რადგანაც ისინი იძულებული იყვნენ ფინანსურად უზრუნველყოთ ეს დაწესებულებები – საავადმყოფოები საწოლების დიდი რაოდენობით, უზარმაზარი სამკურნალო და დასასვენებელი სერვისებით, პერსონალის უზარმაზარი რაოდენობით და სკოლები, ბევრი მასწავლებლებით და პატარა საკლასო

ოთახებით. მათ მდგომარეობას ართულებდა მოსამსახურების მიერ მაღალი ხელფასების მოთხოვნა, რადგანაც ისინიც თავის მხრივ ცდილობდნენ რამენაირად გადაეჭრათ ინფლაციის პრობლემა. რესურსები ამ სავადმყოფოებში გათვალისწინებული იყო ძირითადად ავადმყოფების მოსახურებისათვის და არა პირველადი სამედიცინო დახმარებისა და პრევენციული სერვისების მიწოდებისათვის. მსგავსი სიტუაცია იყო განათლების სფეროშიც. ხარჯების ძირითადი ნაწილი მოდიოდა უნივერსიტეტებზე დაწყებითი და საშუალო განათლების დაწესებულებების ხარჯზე. ასევე, სკოლებისათვის გათვალისწინებული დაფინანსების დიდი ნაწილი იხარჯებოდა მასწავლებლების ხელფასებსა და კომუნალურ გადასახადებზე, რის გამოც სასწავლო მასალებისა და სასწავლო დაწესებულების შეკეთებისათვის თანხები აღარ რჩებოდა.

გარდამავალმა პროცესებმა გარდა იმისა რომ გაზარდა მოთხოვნები სოციალურ დახმარებებზე, ასევე დარტყმა მიაჟენა სოციალური დახმარებებისათვის განკუთვნილ დაფინანსებას. ეკონომიკური აქტივობების შემცირებამ შეამცირა ბევრი ქვეყნის შემოსავალი, მეორე მხრივ კი გაიზარდა ხარჯები და ამ ორი ფაქტორისაგან შეიქმნა მანკიერი წრე. რადგანაც გადასახადები გაიზარდა, გადასახადის გადამხდელები ცდილობდნენ არაფორმალურ სექტორში გადასვლის გზით თავი აერიდებონათ გადასახების გადახდისაგან. ერთის მხრივ საგადასახადო ადმინისტრაციების კორუმპირებულობის, ხოლო მეორეს მხრივ ხელისუფლების უუნარობის გამო გაემკაცრებინათ კანონი, გადასახადების გადახდა შემცირდა და ჩრდილოვანი ეკონომიკა განვითარდა.

ფინანსური სააგენტოები ხშირად მომართავდნენ გადასახადების მოკრებას არაფულადი სახით. სოციალური ფონდები დამოკიდებული გახდნენ რთულ ბარტერულ ოპერაციებზე. ასევე, სოციალური და საგანმანათლებლო სერვისების მიმწოდებლები აწესებდნენ თავის მხრივ გადასახადს, რათა საკუთარი შემოსავლის მიღება უზრუნველყოთ. შედეგად, დარიბ თჯახებს ძალზე უჭირდათ ხარჯების გაღება ძირითადი ჯანდაცვის სერვისების მიღებისა და განათლებისათვის.

ზემოთ აღწერილი მოვლენების შედეგები შესაძლებელია ასე შევაჯამოთ: გარდამავალი მდგომარეობის მქონე ქვეყნებში სოციალურ დაზღვევის სისტემა დამახინჯდა. იმის ნაცვლად, რომ დაეფარათ კარგად განსაზღვრული რისკები და ამრიგად ხელი შეეწყოთ ეკონომიკური რესტრუქტურიზაციისათვის, მაგალითად, დაენიშნათ დროებითი დახმარება უმუშევარი ადამიანებისათვის, ან პენსია მიეცათ იმათვის, ვისაც მუშაობა აღარ შეეძლო, სადაზღვევო სისტემა თანხას იმ ადამიანებს უხდიდა, რომელთაც ამის საჭიროება არ პქონდათ. განათლებისა და ჯანდაცვის სისტემები არა მარტო არაეფექტურად მუშაობდნენ, არამედ მოსახლეობის პირველად მოთხოვნებსაც კი ვედარ აკმაყოფილებდნენ. და ბოლოს, მაღალი გადასახადების დაწესება დამაბრკოლებელი ფაქტორი გახდა შრომის ბაზრის განვითარებისათვის და გამოიწვია ახალი სამუშაო ადგილების წარმოქმნის შეფერხება.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ თუმცა ეს მოვლენები სათავეს თვით გარდაქმნის პროცესებში იღებს, მათი გამწვავება პოლიტიკის არაშესაბამისი შესრულების შედეგად მოხდა. ადგილი პქონდა გაჭირვებული მოქალაქეებისათვის ხელფასების, პენსიების და დახმარებების თვეობით დაგვიანებას, მაშინ, როცა უფრო “მნიშვნელოვანი” ჯგუფები მას დაუბრკოლებლად იღებდნენ. დაინტერესებული წრეები ხშირად ხელს უშლიდნენ რეფორმების გატარებას სოციალურ სექტორში, ისევე, როგორც ეს ხდებოდა სხვა სექტორებში.

### მიმდინარე რეფორმები

გარდამავალ ფაზაში მყოფი ქვეყნების ხელისუფლებების უმეტესობა მიხვდა, რომ სოციალური სისტემების, საბიუჯეტო გადარიცხვების პროგრამების, სამედიცინო და განათლების სერვისების რეფორმები სასიცოხლო მნიშვნელობისაა სოციალური უზრუნველყოფისა და ეკონომიკური განვითარებისათვის. ბევრ ქვეყანაში უკვე მოხდა გარდამავალი ფაზის პოლიტიკების შეცვლა. იმ არგუმენტმაც კი მალევე დაკარგა მნიშვნელობა, რომ მაშინ არსებული პოლიტიკები იმ პირობებში ერთადერთი შესაძლებელი არჩევანი იყო.

სოციალური სექტორის რეფორმები, ისევე როგორც თვითონ გარდაქმნის პროცესები, ყველა ქვეყანაში ერთნაირი არაა. ამის გამო, ქვეყნების ერთამენტოთან შედარება ამ ასპექტში, ძნელია. სხვადასხვა ქვეყნებმა სხვადასხვა მდგომარეობიდან დაიწყებს გარდაქმნის პროცესები და სოციალური პრობლემების სხვადსხვა ქვეყნებში განსხვავებული იყო. გარდა ამისა, სოციალური რეფორმა ქვეყნის პირობებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულად მიმდინარეობდა. ყველაფერი ამის გათვალისწინებით მოხდა 11 ყველის (ალბანეთი, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ბულგარეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, საქართველო, ლიბერა, მოლდავეთი, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთის რესპუბლიკა და სლოვენია) შედეგების შეჯამება, რათა მომხდარიყო გარდამავალ ფაზაში მყოფი ქვეყნების ზოგადი სურათის წარმოდგენა.

ბულგარეთსა და პოლონეთში განხორციელდა მნიშვნელოვანი საპენსიო რეფორმა, რომელიც სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა და ეყრდნობოდა მსოფლიო ბანკის 1994 წლის მოდელს. პირველი ნაწილი იყო გადასახადი მიმდინარე შემოსავლებიდან, მეორე ნაწილი – აუცილებელი გადასახადი სოციალურ ფონდში, მესამე კი – ნებაყოფილობითი კერძო ფონდი.

შედავათების შემცირება და საჯარო სუბსიდიებისა და სოცუზრუნველყოფის დახმარებების შესაბამისი განაწილება 11-ვე ქვეყნისთვის დგას დღის წესრიგში. თუმცა ზოგ ქვეყანაში (მაგ. ლიბერა) ენერგოგადასახადი გაიზარდა, სხვა ქვეყნებში ეს ცვლილებება არ მომხდარა. მაგ. ბულგარეთში ფასები ენერგომატარებლებზე კიდევ ერთი სეზონით დარჩა იგივე. მოლდავეთში მნიშვნელოვნად შემცირდა სპეციალური შედავათები გარკვეული ჯგუფებისათვის, თუმცა აქ მაინც ერიდებიან ისეთი ტრადიციულებად მნიშვნელოვანი ჯგუფის შეხებას, როგორიცაა ყოფილი პარლამენტარები. აღსანიშნავია, რომ ისეთ განვითარებულ ქვეყანაშიც კი, როგორც სლოვენიაა, დიდ რაოდენობითაა პროგრამები, რომელნიც არაა

საჭიროებების მიხედვით დაგეგმილი. ისეთ ქვეყნებში, რომელთაც გარდამავალ პერიოდში ომები და კონფლიქტები გადაიტანეს, მაგ. ბოსნია-ჰერცოგოვინა, საქართველო, რეფორმის გზით დაიგეგმა პროგრამები ისეთი ჯგუფებისათვის, რომელთაც ეს კონფლიქტები პირდაპირ შეეხორ (მაგ. ინგალიდი ვეტერანები, მათი ოჯახები, ლტოლვილები). მნიშვნელოვანი პრობლემა იყო რუმინეთისათვის უმძიმესი კრიზისი ქვეყნის ბევრ ბავშვთა სახლში. ამის გადასაჭრელად პირველი ნაბიჯები იყო ბავშვების მოვლის ფუნქციების კონსოლიდირება და დაფინანსების გაზრდა.

ჯანდაცვის დაზღვევის სისტემების განვითარება ძალზე ძნელი იყო. თუმცა ბევრ ქვეყანაში მოხდა ხელისუფლების როლის განსხვავებულად განსაზღვრა ჯანდაცვის სისტემაში და შეიქმნა დამოუკიდებელი ჯანდაცვის დაზღვევის ფონდები, ბევრი საკითხი მაინც გადასაჭრელი რჩება, მაგალითად როგორიცაა დაფინანსების სიცოცხლისუნარიანი მექანიზმების, საავადმყოფოებში გადასახადების კონტროლის საკითხები, ასევე რესურსების განაწილება რეგიონალური ფონდებისათვის და შიდა ბაზრის კონტროლირება.

ბევრ ქვეყანაში დაარსდა მექანიზმები განათლების სისტემის ეფექტურობის ასამაღლებლად, თუმცა საჯარო საგანმანათლებლო ობიექტები მაინც ზოგჯერ ძალზე ძვირია. მოხდა ზამთრის არდადებების გახანგრძლივება, სასწავლო კვირის შემცირება, და ენერგომრიცხველების დამონტაჟება, რათა სკოლების კომუნალური გადასახადები შემცირებულიყო. დღემდე, ბევრი ქვეყნის განათლების პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს უფასო განათლების უზრუნველყოფა, საუნივერსიტეტო განათლების ჩათვლით. ლიტვაში გახანგრძლივებულიც კი უფასოა.

და ბოლოს, საგადასახადო ადმინისტრაციის რეფორმამ, რომელიც ითვალისწინებდა გადასახადების გაზრდას, დაასრულა სოციალური სექტორის რეფორმა. ბულგარეთში შეიქმნა ერთიანი საშემოსავლო სამსახური, რათა უფრო ეფექტურად გადაიჭრას გადასახადების მოგროვების და აუდიტის პროცესები. ალბანეთში გადასახადების გადახდის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მოქალაქეებს მიენიჭათ სოციალური უსაფრთხოების ნომრები, ხოლო საგადასახო ინსპექტორების უფლებამოსილებები კი გაიზარდა.

საყურადღებოა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში მაგ. ალბანეთი და საქართველო, სოციალური რეფორმები კვლად შენელებულად მიღინარეობს, ხოლო ბულგარეთის რეფორმა ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია. ამავე დროს, შეიმჩნევა, რომ სოციალურმა რეფორმამ იმპულსი დაკარგა ბევრ შედარებით განვითარებულ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანაში. ამის გამო, სოციალური რეფორმა ისევ აქტუალურია ყოველი ამ ქვეყნის ხელისუფლებისათვის.

### **რჩევები მომავალი რეფორმისათვის**

იმის მიუხედავად, როგორი საპენსიო პროგრამა აქვს ქვეყანას, რეფორმა აქცენტს უნდა აკეთებდეს პენსიის მიმღებთა რაოდენობის შემცირებაზე. მან უნდა

შეწყვიტოს პენსიის მიცემა ადრეულ ასაკში და ამით ხელი შეუწყოს მოქალაქეების სამსახურებში დარჩენას მანამ, სანამ არ მიაღწევენ საპენსიო ასაკამდე. ასევე, უნდა გამკაცრდეს ინვალიდთა დახმარების კრიტერიუმები, რათა დახმარება იმ ადამიანებმა მიიღონ, ვისაც ეს ნამდვილად სჭირდება.

რაც შეეხება უმუშევრობის დახმარებას, უნდა შემცირდეს დაბალი პრიორიტეტის მქონე პროგრამების დაფინანსება და მის ხარჯზე გაიზარდოს ფონდი უმუშევართა დროებითი დახმარებისათვის. ასევე, ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ დახმარება ადექვატურად განაწილდეს და თან ხანგრძლივი დროით ხდებოდეს მისი მიღება, რათა მოქალაქეებს დრო პქონდეთ სამუშაოს მოსაძებნად.

სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები გამოყოფილი უნდა იყოს სოციალური დაზღვევის სისტემისაგან. უმუშევრობის დახმარება მხოლოდ იმან უნდა მიიღოს, ვისაც ამ ფონდში გადახდილი აქვს, ანუ ვისაც ოდესმე უმუშავია. სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ფარგლებშიც უნდა მოხდეს უმუშევრობის დახმარების გადახდა, მაგრამ აქ თანხები გამოყოფა საგადასახადო ფონდიდან უნდა მოხდეს. ასევე, მონაწილეობის კრიტერიუმები ასეთი პროგრამებისათვის უნდა დაიხვევოს. საკვების, ენერგომატარებლების ან სხვა პროდუქტებზე სუბსიდიები უნდა გაუქმდეს და შეიცვალოს ფინანსური დახმარებით იმ ადამიანებისათვის, ვისაც ეს ნამდვილად სჭირდება. ეს კრიტერიუმები მხოლოდ ოფიციალურ შემოსავალს არ უნდა ეყრდნობოდეს, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, სადაც არაფორმალური სექტორია განვითარებული, რადგან ასეთ შემთხვევაში დახმარება შეიძლება იმან მიიღოს, ვინც ამის საჭიროებას არ განიცდის.

საზოგადოებრივი ჯანდაცვა ფოკუსირებული უნდა იყოს პირველადი დახმარების სერვისებზე, და სწორი ბალანსი უნდა დამყარდეს პრევენციულ და სამკურნალო სერვისებს მორის. მნიშვნელოვანი რესურსების გამონთავისუფლება შეიძლება ჯანდაცვის დაწესებულებების გაერთიანებით. ამის შედეგად უპირატესობა მიეცემა საზოგადოებრივ ჯანდაცვას და დაავადებების პრევენციას და არა სახელმწიფოს მიერ დაქირავებული ჯანდაცვის მუშაკებისთვის ხელფასების გადახდას. აუცილებლობის შემთხვევაში, რაციონალიზაციასთან ერთად ექიმების ტრეინინგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს. ჯანდაცვის დაფინანსება დღესაც სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე რთულ პრობლემას წარმოადგენს. ჯანდაცვის სახელმწიფო დაზღვევის დაფინანსება უნდა ხდებოდეს საგადასახადო შემოსავლებიდან და მისი მექანიზმი უნდა უზრუნველყოფდეს არა მარტო ადექვატურ დაფინანსებას, არამედ გააჩნდეს რეგულირების მექანიზმებიც. ისეთი საკითხები, როგორიცაა რესურსების მოძიების მეთოდები, ფასების დადგენა და სერვისის მოცულობის კონტროლი, მოგვარებული უნდა იყოს, რათა საბაზო კრიზისის თავიდან აცილება მოხდეს.

საგანმანათლებლო პოლიტიკა უნდა უზრუნველყოფდეს აუცილებელი რესურსების ეფექტურად განაწილებას. უმაღლესი განათლების სისტემის მიერ არ უნდა ხდებოდეს რესურსების გამოყენება დაწყებითი და საშუალო განათლების

ხარჯზე. ასევე სკოლამდელი დაწესებულებებისთვის უმართებულოდ დიდი რესურსები უნდა შეიკვეცოს. სისტემის ეფექტურობის გაზრდისათვის შესაძლებელია მოხდეს სკოლების კონსოლიდაცია და შტატის შესაბამისი შეკვეცა. და ბოლოს, სკოლის სასწავლო პროგრამის შეცვლა და ყველა აუცილებელი სახელმძღვანელოთი და სასწავლო მასალით ბაგშების უზრუნველყოფა აუცილებლად გახდის ამ სისტემას ეფექტურს.

და ბოლოს, შრომის ბაზრის რეფორმამ გადამწყვეტი როლო უნდა ითამაშოს სოციალურ რეფორმასა და სიდარიბის აღმოფხვრაში. სიდარიბები გარდამავალი ფაზის ქვეყნებში მტკიცნეულია, რაღაც ანგარიშის შემთხვევაში არასტაბილურია თვით დასაქმების არასტაბილურობიდან გამომდინარე. ბევრ გარდამავალი ფაზის ქვეყნაში უმუშევრობის მაღალი დონეა, რაც ამნელებს ადამიანების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას და სიდარიბის დამდევას. ამას ისიც ემარტება, რომ არსებული შრომის ბაზარის სისტემა დაბრკოლებას ქმნის ახალი სამუშაო ადგილების შექმნისათვის. შრომის კანონმდებლობა უნდა გადამოწმდეს და შეიცვალოს იმის მიხედვით, რამდენად ახდენს იგი მუშა-მოსამსახურეთა უფლებების დაცვას, ერთის მხრივ და მეორე მხრივ რამდენად უზრუნველყოფს შრომის ბაზრის მოქნილობას და ეფექტურობას. გადამეტებულად მკაცრი შრომის კანონმდებლობის ლიბერალიზაცია უნდა მოხდეს. აუცილებელია გადაიხედოს მინიმალური ხელფასის ოდენობა და შესაძლებელი გახდეს მოქნილი შრომითი კონტრაქტების საფუძველზე მუშაობა, რათა გაიზარდოს შრომის ბაზრის მოქნილობა და შრომის კოდექსი გახდეს არსებული შრომის ბაზრის შესაბამისი.

## გამოყენებული ლიტერატურა

- Colby I. & Dziegielewski, S. F. (2001). Social Work: The People's Profession. Lyceum, Books, INC.
- Paul H. Stuart. *Social Work*. July 1999. Linking clients and Policy: social work's distinctive contribution.
- Peterson. (1981). Three Policy Arenas
- Cnaan and Boddie. *Social Work*. Vol: 47, Issue: 3 (2002). Charitable Choise and Faith-Based Welfare
- საქართველოს სიდატაგის დამდევისა და ეკონომიკური განვითარების პროგრამის განაცხადი (2003)
- საძაგლიშვილი, 2007. სოციალური სამუშაოს პრაქტიკა. სახელმძღვანელო სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის და პრაქტიკის ხელმძღვანელებისთვის. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- Douglas J. Besharov (2002) Creating a marketplace for social welfare policies. *Notre Dame journal of law, ethics and public policy*
- Bernard van Heck (2003). Participatory Development
- Christian Keller and Peter S. Heller. Finance and Development (September 2001, Volume 38, Number 3). Social Sector Reform in Transition Countries
- Poverty. <http://family.jrank.org/pages/1306/Poverty-Definition-Poverty.html>
- Social Work – A 21<sup>st</sup> Century Profession.  
[http://www.sqa.org.uk/files\\_ccc/Social%20Work%2021st%20Century%20Profession.pdf](http://www.sqa.org.uk/files_ccc/Social%20Work%2021st%20Century%20Profession.pdf)